www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 20 ნოემბერი, 2008 წელი. №260 (2004) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიჭქიანი ნომერი
*2424

### ბარაკ ობამას აფროამერიკელი კადრი
A8



### ალუბლობის მოლოდინში
A11



### ფრთხილად, სოჭი-2014 ფეთქებადსაშიშია!
A13



24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# ობამას წერილის ექო ვალენსიაში

## ნატო ქართველების ეთნოწმენდას აღიარებს

გიორგი ასანიშვილი
ხათუნა გაბიევი

*ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში ჩატარებულმა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეამ, რომლის მუშაობაში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც მონაწილეობდა, რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ასამბლეამ აღიარა საქართველოს ტერიტორიაზე ქართველების ეთნოწმენდის ფაქტი და უკანონოდ შეფასდა კრემლის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა. ამასთან, ვალენსიის ფორუმზე მიღებული რეზოლუცია ადასტურებს, რომ ნატო, ევროკავშირისგან განსხვავებით, რუსეთის მიმართ მკაცრი კურსის გატარების მომხრეა.*

### ბარაკ ობამას წერილი

გუშინ ვალენსიაში ჩატარებულ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საპარლამენტო ასამბლეას ბარაკ ობამამ წერილით მიმართა. ობამას წერილი სენატორმა ჯონ ტერნერმა გაახმოვანა. იგი მომავალში ნატოს საპარლამენტო ასამბლეას ჩაუდგება სათავეში.

Jihlava Olomouc
HFK 2---2
Dukla Praha
Opava 1---2
Hlucin Strizkov3---1
1. FC Slovacko
Sokolov Baník 1---0
Vitkovice



*იაპ დე ჰოოპ სხეფერის თქმით, ალიანსი აგვისტოს მოვლენებზე თვალს ვერ დახუჭავს და ვერ მოიქცევა ისე, თითქოს, რუსეთ-საქართველოს ომი არ ყოფილა.*

AFP ' 2008

ამერიკის შეერთებული შტატების ახალარჩეულმა პრეზიდენტმა კი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს საკუთარი აზრი გააცნო მსოფლიოს წინაშე არსებული სამი ძირითადი გამოწვევის შესახებ. ობამას აზრით, ესენია ავღანეთი, საქართველოს აშენება და რუსეთთან ურთიერთობა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დიალოგის მცდელობა

თამარ ხორბალაძე

*"დიალოგი დაიწყო" - ასეთია ჯერჯერობით ერთადერთი, თუმცა მოსალოდნელი შედეგი, რაზეც დღეს ჟენევის არაფორმალური შეხვედრების ყველა მონაწილე საუბრობს. სიურპრიზები არ ყოფილა - შეხვედრებზე მხარეებმა საკუთარი პოზიციები გაახმოვანეს. ეს იყო პირველი შემთხვევა აგვისტოს ომის შემდეგ, როცა მხარეებმა ერთ მაგიდასთან, შუამავლების მონაწილეობით, მოსაზრებების გაცვლა სცადეს.*

შეხვედრა, რომელსაც, რუსეთთან და საქართველოსთან ერთად, სეპარატისტული რეგიონების დე ფაქტო და ლეგიტიმური მთავრობების წარმომადგენლები და შუამავლები - აშშ, გაერო, ევროკავშირი და ეუთო ესწრებოდნენ, დაახლოებით, ოთხი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

კონსულტაციებზე ქართულმა დელეგაციამ სარკოზის შუამავლობით ხელმოწერილი დოკუმენტის შესრულების, საოკუპაციო ჯარების საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლებისა და დევნილების დაბრუნების საკითხები დააყენა.

აფხაზმა და ოსმა სეპარატისტებმა კი დევნილების დაბრუნების საკუთარი გეგმა წარმოადგინეს. მათი ინიციატივა ის არის, რომ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში დაბრუნების მსურველმა ყველა დევნილმა რუსეთის ან ამ "რესპუბლიკების" მოქალაქეობა უნდა მიიღოს.

მოლაპარაკებები, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ მწვავედ წარიმართა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავად დიალოგის ფაქტი და მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, რომ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში უსაფრთხოების ახალი მექანიზმების ჩამოყალიბება უნდა მოხდეს, შუამავლებს და ქართულ მხარეს ოპტიმისტურად განაწყობს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სერდიუკოვი იმუქრება, სერდიუკოვს ემუქრებიან

რუსეთის თავდაცვის მინისტრ ანატოლი სერდიუკოვის განცხადებით, საქართველოს სწრაფვამ ნატოში შესაძლოა, იმაზე სერიოზული კონფლიქტის პროვოცირება მოახდინოს, ვიდრე აგვისტოში იყო.

თავდაცვის მინისტრ დავით კეზერაშვილის განმარტებით, სერდიუკოვის განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ომი რუსეთმა დაიწყო და ამის მოტივი არა ვინმეს დაცვა, არამედ ნატო-სკენ საქართველოს სწრაფვის შეჩერება იყო. აგვისტოში ეს რუსებს არ გამოუვიდათ. **საქართველო არის დამოუკიდებელი ქვეყანა და აგრძელებს სწრაფვას ნატო-სკენ. შესაბამისად, რუსეთის მხრიდან მუქარები იქნება. მინდა, მათ იმედები გავუცრუო. საქართველო იქნება დამოუკიდებელი და გააგრძელებს სწრაფვას ნატო-სა და ევროპისაკენ,** - განაცხადა დავით კეზერაშვილმა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკატერინე ზღულაძე კი აცხადებს, რომ ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციისაკენ სწრაფვა კვლავაც რჩება საქართველოს პრიორიტეტად. როდის და როგორ მოხდება ეს, რუსეთზე არ არის დამოკიდებული. **რაც შეეხება მუქარას აგვისტოს მოვლენების მსგავსი პროცესების განმეორებაზე, სამწუხაროა, რომ ეს მუქარა კვლავ ისმის. თუმცა, არ მიმაჩნია, რომ ეს რეალურია,** - აღნიშნა ეკატერინე ზღულაძემ.

მაშინ, როდესაც სერდიუკოვი საქართველოს მისამართით მუქარის განცხადებებს აკეთებს, მოსკოვში რუსი გენერლები თავად მას ემუქრებიან.

რუსი გენერლები რუსეთის თავდაცვის მინისტრს არმიის დაშლაში ადანაშაულებენ. სერდიუკოვის მიმართ კრიტიკული განცხადებები გუშინ მოსკოვში გამართულ ბრიფინგზე გენერალმა ვლადიმერ კრაჩკოვმა, გენერალური შტაბის ყოფილმა უფროსმა ლეონიდ ივაშოვმა, აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ვიქტორ ილიუხინმა გააკეთეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## სერდიუკოვი იმუქრება, სერდიუკოვს ემუქრებიან

პირველი გვერდიდან

რუსი გენერლების განცხადებით, თუ ფედერაციის პოლიტიკური ხელისუფლება შეიარაღებული ძალების მდგომარეობის გამოსწორებაზე არ იზრუნებს, ამას თავად სამხედროები გააკეთებენ. **ხელისუფლება წინა საუკუნეს დაუბრუნდა. 2009 წლის 21 თებერვალს რუსეთის ოფიცერთა საგანგებო შეკრებაა დანიშნული და თუ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არ უნდა ქვეყნის დაცვა, ამას სამხედროები თავად გავაკეთებთ,** - აღნიშნა კრაჩკოვმა.

ვიქტორ ილიუხინის განცხადებით კი, სერდიუკოვი თანამდებობას ანგარების მიზნით იყენებს და ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი სფეროს - უსაფრთხოების ხარჯზე მდიდრდება. გენერლები ასევე აცხადებენ, რომ რუსული არმიის შეიარაღებისა და ტექნიკის 80 პროცენტი მოძველებულია და **"აგვისტოს მოვლენების დროს კონფლიქტში ესტონეთიც რომ ჩართულიყო, საქართველო და ესტონეთი მოსკოვამდეც კი შეძლებდნენ მისვლას.**

*საკუთარი ინფორმაცია*

### მორიგი რუსული პროვოკაცია

რუსულმა ვერტმფრენმა გუშინ გალისა და ზუგდიდის რაიონებში პროკლამაციები ჩამოყარა.

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელ პაატა შამუგიას განცხადებით, დილით ჩამოყრილი პროკლამაციების შინაარსი, დაახლოებით, ასეთია: "საქართველოს ხელისუფლება აგრესიის პოლიტიკას აწარმოებს და უნდა შეიცვალოს".

მსგავსი შინაარსის პროკლამაციებს რუსი ოკუპანტები პერიოდულად ავრცელებენ და ქართულ მოსახლეობას საქართველოს ხელისუფლების შეცვლისკენ მოუწოდებენ. **საკუთარი ინფორმაცია**

### აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრებზე რუსეთმა ახალი გამაგრებული რაიონები შექმნა

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში - აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციამ საზღვრის გასამაგრებელი სამუშაოები დაიწყო.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მდგარი რუსი სამშვიდობოებისაგან განსხვავებით, რომლებიც "გაშლილ ადგილზე მოქმედებდნენ და მათ საქართველოს მხრიდან მომავალი ცეცხლისაგან თავის დაცვის საშუალება არ ჰქონდათ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ამჟამად მყოფ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ნაწილების პირადი შემადგენლობას საინჟინრო თვალსაზრისით კარგად და საიმედოდ გათვლილი თავდაცვის სისტემები აქვს, რომელიც განსაკუთრებით საიმედოდ იცავს მათ საქართველოს შეიარაღებული ძალების ნებისმიერი აგრესიული გამოხტომისაგან".

რუსული მედია იუწყება, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებული რუსული სამხედრო ბაზები 2008 წლის დასასრულისათვის უკვე 30-40 პროცენტით კეთილმოწყობილი იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის სხდომა 21 ნოემბრისთვის გადაიდო

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი დროებითი კომისიის სხდომა, რომელიც პარლამენტში დღეისთვის იგეგმებოდა, ორი დღით - 21 ნოემბრისთვის გადაიდო.

აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისიის წევრთა შეკითხებს ამჯერად აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის მეთაურმა მალხაზ აქიშბაიამ, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დიმიტრი სანაკოევმა და ეკონომიკის მინისტრმა ეკა შარაშიძემ უნდა უპასუხონ. თუმცა იმის გამო, რომ აქიშბაია და სანაკოევი ამ დროისთვის ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობენ, პაატა დავითაიას კომისიის სხდომა ორი დღით გადაიდო. **პირველი**

### საქართველოს დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობა 18 დეკემბერს გაიმართება

პარტიის მომავალი გენერალური მდივნის გია ცაგარეიშვილის განცხადებით, თორთლაძე-ცაგარეიშვილის "საქართველოს დემოკრატიული პარტიის" დამფუძნებელი ყრილობა 18 დეკემბერს გაიმართება. ამ ეტაპისთვის ცნობილია, რომ პარტიის ყრილობაზე 1500-ზე მეტი ადამიანი აპირებს მისვლას.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის" ოფისი გრიბოედევის N30-ში განთავსდა.

როგორც ცაგარეიშვილმა აღნიშნა, თბილისის მასშტაბით პარტიას სულ სამი ოფისი და ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა რეგიონებში რამდენიმე რეგიონული ორგანიზაცია ექნება.

რაც შეეხება 18 დეკემბრის დამფუძნებელ ყრილობას, მისი თქმით, ღონისძიების მონაწილეები პარტიის ხელმძღვანელობას აირჩევენ, გაიმართება ასევე სამოქმედო პროგრამისა და პლატფორმის პრეზენტაცია. თუმცა პარტიის ხელმძღვანელობა წინასწარ არის ცნობილი: პარტიის თავმჯდომარე გია თორთლაძეა, გენერალური მდივანი - გია ცაგარეიშვილი, ხოლო პოლიტიკური მდივანი - აკაკი ფანჩულიძე. **პირველი**

# დიალოგის მცდელობა

პირველი გვერდიდან

**"ეს იყო კარგი დღე,"** - განაცხადა შეხვედრის შემდეგ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ დენიელ ფრიდმა.

გაერო-ს წარმომადგენელმა, უსაფრთხოების ახალ მექანიზმებზე საუბრისას, ქვაყანაში საერთაშორისო პოლიციური ძალების შემოყვანის შესაძლებლობაც დაუშვა. **"შესაძლოა, ეს იყოს ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის გაფართოება, შესაძლოა - პოლიციური ძალების შემოყვანა, ამაზე მსჯელობა უნდა დაიწყოს,"** - ასეთია შუამავალთა პოზიცია, რომელსაც ქართული მხარე განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელ გიგა ბოკერიას განცხადებით, დღეს მთავარია სწორედ უსაფრთხოების ახალ რეჟიმზე მუშაობა, **"რაც, პირველ რიგში, ევროკავშირის დამკვირვებელთა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განთავსებით უნდა დაიწყოს."**

აგრესიულ რიტორიკაზე უარის თქმა მიაჩნია შეხვედრის მთავარ ღირსებად შეხვედრის ერთ-ერთ მონაწილეს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელ დიმიტრი სანაკოევს. იგი პირველი იყო, ვინც შეხვედრის შემდეგ კომენტარი გააკეთა. **"მთავარია, შეხვედრა შედგა. აღინიშნა, რომ უნდა შეიქმნას უსაფრთხოების პირობები, როგორც ქართული და ოსური, ასევე გალის რაიონის მოსახლეობისთვის. ჩვენ უარი ვთქვით აგრესიულ რიტორიკაზე. რა თქმა უნდა, ქართულ, ოსურ, აფხაზურ და რუსულ მხარეებს საკუთარი პრეტენზიები აქვთ, მაგრამ მათ მომდევნო შეხვედრებზე განვიხილავთ,"** - განაცხადა დიმიტრი სანაკოევმა.

ნაკლებად კონსტრუქციული იყო ჟურნალისტებთან საუბრისას სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენელი ბორის ჩოჩიევი. **"ჩვენ მოვუწოდეთ აშშ-ს, რომ შეწყვიტოს საქართველოს მომარაგება იარაღით. ჩვენ მივაწოდეთ შეხვედრის მონაწილეებს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველო რაღაცისთვის ემზადება. ამის შესახებ ჩვენ საერთაშორისო დამკვირვებლებს აგვისტომდეც ვეუბნებოდით,"** - განაცხადა ჩოჩიევმა.

რუსული დელეგაციის ხელმძღვანელის, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის თქმით კი, პირველ სამუშაო შეხვედრაზე უსაფრთხოების საკითხების განხილვა ინტენსიურად და მწვავედ წარიმართა. მისი თქმით, ასევე მწვავე იყო მსჯელობა დევნილთა საკითხებზე.

**"მხარეთა პოზიციებს შორის ჯერ კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი ნაპრალია,"** - განაცხადა კარასინმა.

ამ ნაპრალის კიდევ უფრო გაღრმავებას გუშინ შემაჯამებელ ბრიფინგზე კარასინის მიერ გაკეთებულმა კომენტარმაც შეუწყო ხელი. **"აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში უნდა შეიცვალოს გაერო-ს და ეუთო-ს მანდატი. საქართველოში მისიების მანდატებიდან ამოღებული უნდა იქნას ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების დარეგულირების საკითხი. გაერო-მ უნდა გამოაგზავნოს დამოუკიდებელი მისია რუსეთის მიერ უკვე ცნობილ დამოუკიდებელ აფხაზეთში, ეუთო-მ კი - სამხრეთ ოსეთში,"** - ასეთია უსაფრთხოების ახალი მექანიზმების რუსული გაგება.

კავკასიის უსაფრთხოების საკითხზე ჟენევის მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი, სავარაუდოდ, დეკემბრის შუა რიცხვებში გაიმართება. მანამდე კი უსაფრთხოების ახალი რეჟიმის შესახებ დეკემბრის დასაწყისში, ეუთო-ს მინისტერიალზე ისაუბრებენ.

# კვლავ სროლა, კვლავ მსხვერპლი

ნინო დალაქიშვილი

*გუშინ დილით, გორის რაიონის სოფელ მერეთში, სეპარატისტებმა ქართველ სამართალდამცველებს ცეცხლი გაუხსნეს, რასაც ქართველების მხრიდან საპასუხო ცეცხლი მოჰყვა. ორმხრივი სროლის შედეგად ერთ-ერთი სეპარატისტი დაიჭრა.*

სოფელ ქსუისში, რომელსაც ამ დროისათვის ოსი სეპარატისტები აკონტროლებენ, სოფლის მკვიდრი, ეროვნებით ქართველი რამაზ შოშიტაშვილი 18 ნოემბერს, გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს. მას თავში ნაჯახი ჰქონდა ჩარტყმული. ინციდენტის შემდეგ, ცხინვალის დე ფაქტო პროკურატურის თანამშრომლებმა, მათივე განმარტებით, ვითარების გარკვევა სცადეს და ქართული საგუშაგოს გადაკვეთა დააპირეს. ქართველმა სამართალდამცველებმა მათი შეჩერების ბრძანება გასცეს. თუმცა ისინი გაფრთხილებას არ დაემორჩილნენ და საგუშაგოზე ქართველ პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნეს. ქართველი სამართალდამცველების მხრიდან ამას საპასუხო რეაქცია მოჰყვა.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელმა ვლადიმერ ჯუღელმა განაცხადა, რომ ორმხრივი სროლის შედეგად ბანდფორმირების ერთი წევრი იქნა ლიკვიდირებული.

მისივე თქმით, შემთხვევის ადგილზე შესაბამისი საგამოძიებო ღონისძიებები ტარდება.

ცხინვალის დე ფაქტო მთავრობა კი სოფელ ქსუისში მომხდარ ინციდენტში ქართულ მხარეს ადანაშაულებს. დე ფაქტო შსს-ში აცხადებენ, რომ **"ცხინვალის რაიონის სოფელ ქსუისში გარდაცვლილის ვინაობისა და ვითარების გასარკვევად ადგილზე პროკურატურის ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფი გავიდა, რომელსაც ქართულ სოფელ მერეთიდან ცეცხლი გაუხსნეს. სროლის შედეგად პროკურატურის ერთი თანამშრომელი დაიჭრა.** როგორც დე ფაქტო შსს-ში აღნიშნავენ, ამ ტერიტორიაზე ქართული შეიარაღებული ფორმირებების კონცენტრირება შეინიშნება. ადგილობრივი მოსახლეობა კი აღნიშნავს, რომ შეიარაღებული ოსი ფორმიანები სისტემატურად გადაადგილდებიან სოფელ მერეთთან ახლოს, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ამჟამად ოსები აკონტროლებენ.

ამ ინციდენტის შესახებ სააგენტო "რეს"-ი დე ფაქტო შსს-ს ინფორმაციისგან განსხვავებულ ცნობებს ავრცელებს. სააგენტო იუწყება, რომ სოფელ ქსუისში დე ფაქტო პროკურატურის ავტომობილს ცეცხლი სოფელ დისევიდან გაუხსნეს.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პროკურატურის თანამშრომელი გრიგორი სობაევი, რომელიც კონფლიქტის ზონაში სროლის შედეგად გუშინ დაიჭრა, სამკურნალოდ ვლადიკავკაზში გადაიყვანეს. ამის შესახებ ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი იუწყება.

ცხინვალის საავადმყოფოს ექიმ-რეანიმატოლოგ ალა გაბარაევას თქმით, დაჭრილის ტრანსპორტირება შესაძლებელი იყო და იგი კვალიფიცირებული ექიმის თანხლებით ვლადიკავკაზის ცენტრალურ საავადმყოფოში გაამგზავრეს.

**"ამ დროისთვის მისი მდგომარეობა მძიმეა. სობაევმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ჭრილობა მენჯის არეში მიიღო, მას ასევე აქვს თავის ტვინის შერყევა,"** - განაცხადა გაბარაევამ.

მერეთის გარდა, 18 ნოემბერს საღამოს სროლის ხმა სოფელ ფლავისმანთან ახლოსაც ისმოდა. აღნიშნული სოფლიდან რამდენიმე ათეულ მეტრში ოსური მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია იწყება.

მოსახლეობა არ გამორიცხავს, რომ მორიგი პროვოკაციის მიზნით, შესაძლოა, მსგავსი ინციდენტები საზღვართან მდებარე ქართულ სოფლებში კვლავ მოხდეს.

# 200 ლარი თითო სულზე

გუშინდელ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გრიგოლ მგალობლიშვილმა განვითარებისა და რეაბილიტაციის 18-თვიანი პროგრამის მიმდინარეობა წარმატებულად შეაფასა. **რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას საქართველოს ხელისუფლება ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს უქმნის. ახლა მთავარია, დევნილ მოსახლეობას ახალ საცხოვრებელ გარემოსთან შეგუებასა და ადაპტირებაში დავეხმაროთ. განვითარების 18-თვიანი პროგრამის პირველი ეტაპი წარმატებით სრულდება. საქართველოს ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობაზე ძველებურად ზრუნავს,** - აღნიშნა მგალობლიშვილმა.

როგორც მთავრობის სხდომის დაწყებამდე რეგიონული განვითარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა განაცხადა, მომავალი თვიდან თითოეული დევნილი ოჯახი, დახმარების სახით, თითო სულზე 200 ლარს მიიღებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გრიგოლ მგალობლიშვილმა მთავრობის სხდომაზე განათლების მინისტრ გიორგი ნოდიასგან მოითხოვა ინფორმაცია, თუ რამდენად შეუფერხებლად წარიმართება რუსული აგერსიის შედეგად დაზარალებული ოჯახების შვილების განათლების პროცესი.

როგორც ნოდიამ აღნიშნა, დევნილთა ახალი ჩასახლების ადგილების მახლობლად 32 სკოლა მდებარეობს, სადაც, დაახლოებით, 3500-მდე მოსწავლე გადანაწილდება. სკოლები მოსწავლეების მისაღებად მზად არიან. საჭიროების შემთხვევაში, ახალი სკოლებიც აშენდება.

განათლების მინისტრის ინფორმაციით, აღნიშნულ სკოლებში არის გარკვეული ტექნიკური პრობლემები, კერძოდ - მერხების დეფიციტი. მისივე თქმით, ერთ კვირაში სკოლებში მერხების შეტანა დაიწყება და ორ კვირაში პრობლემა, პრაქტიკულად, აღმოფხვრილი იქნება.

გარდა ამისა, ნოდიას განცხადებით, მცირე რემონტისთვის სკოლებს გადაერიცხებათ თანხები. საჭიროების შემთხვევაში კი, ბავშვების სკოლებში ტრანსპორტირებას ადგილობრივი თვითმმართველობები უზრუნველყოფენ.

*საკუთარი ინფორმაცია*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ობამას წერილის ექო ვალენსიაში

პირველი გვერდიდან

## ვალენსიის ტრიბუნა

რუსეთის დელეგაციამ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში მიხეილ სააკაშვილის მონაწილეობა გააპროტესტა და მოითხოვა, რომ ვალენსიის ფორუმზე საქართველოს პრეზიდენტი სიტყვით არ გამოსულიყო, მაგრამ ალიანსის ლიდერებმა მოსკოვის პროტესტს ანგარიში არ გაუწიეს. ამის გამო რუსეთის დელეგაციამ ასამბლეაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

თავის გამოსვლაში მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის აგრესიაზე, ქვეყანაში ომის შემდგომ შექმნილ პრობლემებსა და დევნილების მდგომარეობაზე გაამახვილა ყურადღება.

**საქართველოს ერთადერთი მომავალი ევროპული მომავალია. სხვა ალტერნატივა და მიზანი, გარდა ევრო და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისა, ჩვენ არ გაგვაჩნია. რაც შეიძლება ახლოს უნდა მივიდეთ ატლანტიკურ ალიანსთან და ევროკავშირთან,** - ასე განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი საქართველოს საგარეო ორიენტაციის მთავარ ვექტორს.

მიხეილ სააკაშვილი ვალენსიაში დეტალურად საუბრობს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ ფართომასშტაბიან აგრესიაზე და მოსკოვთან თანამშრომლობის უპერსპექტივობაზე.

**რუსეთის სამხედრო ოპერაცია არ იყო საპასუხო რეაქცია საქართველოს ქმედებებზე, ეს იყო სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ ინტერვენცია. ჩვენ უნდა დაგვეცვა ჩვენი მოსახლეობა, რათა ისინი არ აღმოჩენილიყვნენ მტრის ხაფანგში. მნიშვნელოვანია, რომ როდესაც რუსეთმა ცხინვალიდან სამოქალაქო პირთა ევაკუაცია მოახდინა, მისი მიზანი იყო არა მოსახლეობის დაცვა აგრესიისგან, არამედ როკის გვირაბის გათავისუფლება დევნილთა ნაკადისაგან, რათა უკეთსად შეძლებოდათ თავისი სამხედრო შენაერთების საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანა. მაშინ, როცა მათ, ერთი მხრივ, ცხინვალიდან გაჰყავდათ ქალები და ბავშვები, მეორე მხრივ, შემოჰქონდათ იარაღი დარჩენილი მოსახლეობისთვის და შემოჰყავდათ საბრძოლო ძალები. აქედან გამომდინარე, ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ არჩევანი ორ უკიდურესობას შორის - როგორც ამბობენ, არჩევანი ცუდსა და ძალიან ცუდს შორის - ჩვენ უნდა გვეზრუნა ქვეყნის გადარჩენაზე. რუსების სამშვიდობო ძალების მანდატს ჩვენ არასოდეს ვაღიარებთ. ჩვენ ამაში წარსულშიც ეჭვი გვეპარებოდა, აგვისტოს მოვლენების შემდეგ კი ეს პოზიცია საბოლოოდ გამყარდა. არ ვაპირებთ რუსეთთან რაიმე ახალი სამშვიდობო ფორმატის შექმნას. ჩვენ ადრეც მოვითხოვდით და ახლაც მოვითხოვთ, რომ მონიტორინგში ჩაერთონ საერთაშორისო საპოლიციო ძალები. "ძალა ერთობაშია" - არის ასეთი ქართული გამოთქმა, თუმცა ძალა ერთობაშია არა მხოლოდ ქართველებისთვის, არამედ - მთელი ევროპისთვის,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.



AFP ' 2008

*"ძალა ერთობაშია არა მხოლოდ ქართველებისთვის, არამედ - მთელი ევროპისთვის"*

რუსეთთან სამომავლო ურთიერთობებზე ვრცელ კომენტარს ნატო-ს გენერალური მდივანიც აკეთებს.

იაპ დე ჰოოპ სხეფერის თქმით, ალიანსი აგვისტოს მოვლენებზე თვალს ვერ დახუჭავს და ვერ მოიქცევა ისე, თითქოს, რუსეთ-საქართველოს ომი არ ყოფილა. თუმცა, იგი იქვე შენიშნავს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მოსკოვთან კონტაქტების შეწყვეტას არ აპირებს. სხეფერის განცხადებით, ყველა იმ საკითხზე, რომლებზეც ნატოსა და რუსეთს საერთო ინტერესები აქვთ, კონსულტაციები გაგრძელდება.

**ნატო-ს მოკავშირეებმა გადაწყვიტეს, რომ ნატო-რუსეთის საბჭოს შეხვედრები არ გაიმართება, რადგან რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ დისპროპორციული ძალა გამოიყენა და ამას ქართული ტერიტორიების აღიარება მოჰყვა,** - მოსკოვთან ურთიერთობებში ნატო, ევროკავშირთან შედარებით, უფრო მკაცრი კურსის გატარების მომხრეა. ამასთან, სხეფერი რუსეთის სრული იზოლაციის წინააღმდეგია და მიაჩნია, რომ **აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ალიანსმა და რუსეთმა უნდა ითანამშრომლონ .**

ნატო-ს გენერალური მდივანი, ცხადია, ბრიუსელისა და თბილისის ურთიერთობების თემასაც შეეხო.

**ნატო-ს ხედვა საქართველოს მიმართ იყო და რჩება ადეკვატური, განსაკუთრებით აგვისტოს მოვლენების შემდეგ. შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია, რომლის საშუალებითაც ერთმანეთთან ახლო ურთიერთობები გვექნება. ცოტა ხნის წინ საქართველოში საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია იმყოფებოდა, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებიც ხშირად ჩამოდიან ბრიუსელში. ჩვენ ვეხმარებით საქართველოს. ნატო-ს გაფართოება დიდი ხნის წინ დაიწყო და ეს პროცესი დემოკრატიის გავრცელებას ემსახურება. ევროპამ ამის შედეგი უკვე ნახა და მიხვდა, რომ ამით არ წაუგია,** - ნატო-ს გაფართოების მომდევნო ტალღაში საქართველოს მოხვედრას წაუგებელ თამაშად მიიჩნევს იაპ დე ჰოოპ სხეფერი.

### რეზოლუცია

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის მიერ საქართველო-რუსეთის კონფლიქტის შესახებ მიღებული 373-ე რეზოლუციის პირველივე მუხლში ნათქვამია, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო მოქმედება წარმოადგენდა არაადეკვატური ძალის გამოყენებას , სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველების მიმართ განხორციელდა ეთნიკური წმენდა, რუსეთმა დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პუნქტები და აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ რუსეთი თვეების განმავლობაში ზრდიდა სამხედრო ძალას, სპეციალიზებულ ძალებსა და სამხედრო ტექნიკის რაოდენობას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, რითიც დიდად შეუწყო ხელი ორივე რეგიონში დაძაბულობის ესკალაციას.

ასამბლეა ადასტურებს იმასაც, რომ 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართულ სოფლებზე გაძლიერებული იერიშები სერიოზული პროვოკაცია იყო, რასაც საქართველოს ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, სამხედრო ძალით უპასუხა და ამით ძალადობის გაღვივებას შეუწყო ხელი.

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა კიდევ ერთხელ შეახსენებს რუსეთს, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი არის საქართველოს სუვერენული ტერიტორია და მოსკოვს გაერო-ში არაერთხელ მიუცია ხმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუციებისთვის.

ნატო-ს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მოწონებული დოკუმენტი სხვა საყურადღებო მესიჯებსაც შეიცავს. კერძოდ, რეზოლუცია მოუწოდებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების მთავრობებს, თავიანთი წვლილი შეიტანონ კონფლიქტის გაღვივების ხელშემწყობ მოვლენათა ჯაჭვის საერთაშორისო გამოძიებაში; გააგრძელონ ჟენევის მოლაპარაკებები; დაეხმარონ საქართველოს ხელისუფლებას, წარმატებით დაასრულოს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, რაც დააჩქარებს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანებას; საქართველოს შესთავაზონ წევრობის სამოქმედო გეგმა (მაპი); მხარი დაუჭირონ საქართველოს გავლით ენერგორესურსების მიწოდების გაზრდას, რაც შეამცირებს ევროპის დამოკიდებულებას რუსულ ენერგორესურსებზე; დაეხმარონ საქართველოს კონფლიქტის დროს განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენაში; შეინარჩუნონ რუსეთის ფედერაციასთან კონსტრუქციული დიალოგის ფორმატი სამხრეთ კავკასიის რეგიონში გრძელვადიანი სტაბილურობის ხელშესაწყობად და განახორციელონ ზეწოლა რუსეთის ფედერაციაზე, რათა ოფიციალურმა მოსკოვმა სრულად შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების ყველა პირობა.

### შეფასებები

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის წევრი ნიკა რურუა მიესალმება იმას, რომ ვალენსიაში მიღებულ რეზოლუციაში დაგმობილია რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება და ეს აღიარება უკანონოდ არის მიჩნეული.

**რეზოლუციაში ცალსახად არის დაფიქსირებული საქართველოს მიმართ ნატო-ს წევრი ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციების მხარდაჭერა,** - ასეთ კომენტარს აკეთებს ვალენსიის ფორუმის მონაწილე ქართველი დეპუტატი. ნიკა რურუა განსაკუთრებით გამოყოფს დოკუმენტში ეთნიკური წმენდის დაფიქსირებას და იმის აღნიშვნას, რომ საქართველო აუცილებლად უნდა გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი.

ნატო-რუსეთის ურთიერთობების საკითხს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრიც ეხმაურება. ეკატერინე ტყეშელაშვილის თქმით, არასდროს ყოფილა საუბარი რუსეთსა და ნატო-ს შორის კონტაქტების საბოლოოდ შეწყვეტაზე. თუმცა, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ თანამშრომლობა რუსეთთან, როგორც ჩვეულებრივ პარტნიორთან, ჩვეულ რეჟიმში ვეღარ გაგრძელდება.

**კარგად უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთი პატარა სახელმწიფო არ არის და სხვადასხვა ქვეყანასა თუ ორგანიზაციას მასთან ტექნიკური და სხვა სახის თანამშრომლობა სჭირდება. ამ ორგანიზაციებს შორის ნატო-ც არის,"** - შენიშნავს ეკატერინე ტყეშელაშვილი. საქართველოს დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელი აქვე იმასაც დასძენს, რომ კვლავ ძალაში რჩება ნატო-ს პოლიტიკური გადაწყვეტილება და საჯარო განცხადება, რომლის თანახმადაც მას რუსეთთან უწინდებური ურთიერთობები აღარ ექნება.

### არასაპარლამენტო ოპოზიცია "იმედისგან" პირდაპირ ეთერს მოითხოვს

არასაპარლამენტო ოპოზიცია ტელეკომპანია "იმედზე" პირდაპირ ეთერს მოითხოვს.

ამის შესახებ გუშინ გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, "კონსერვატიული პარტიის" წევრმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა. მისი თქმით, ამ მოთხოვნას გაერთიანებული ოპოზიცია 23 ნოემბერს "იმედის" შენობასთან დაგეგმილ აქციაზეც დააყენებს. "გარდა იმისა, რომ "იმედის" პატარკაციშვილის ოჯახისთვის დაბრუნებას მოვითხოვთ, მივმართავთ ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას პირდაპირი საეთერო დროის გამოყოფის მოთხოვნით, თუნდაც იმ პირობებში, რომელშიც დღეს ეს ტელევიზია მოქმედებს," - განაცხადა ძიძიგურმა.

23 ნოემბერს გაერთიანებული ოპოზიცია ტელეკომპანია "იმედის" პიკეტირებას აპირებს და აცხადებს, რომ შეუშვებს თუ არა ჟურნალისტებს შენობაში, ამ საკითხს ადგილზე გადაწყვეტს. **პირველი**

### "ევროკავშირი არ გახდება რუსეთის რეალური პარტნიორი, ვიდრე იგი აღებულ ვალდებულებებს არ შეასრულებს"

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელ შოთა მალაშხიას აზრით, ევროკავშირი რუსეთთან პარტნიორობის ხელშეკრულებას მანამ არ გააფორმებს, სანამ რუსეთი აღებულ ვალდებულებებს არ შეასრულებს. როგორც შოთა მალაშხიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ეს ვალდებულებები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, სარკოზი-მედვედევის ცნობილი შეთანხმების შესრულებაზე და კალინინგრადში ისკანდერის" რაკეტების დაყენებისა და ირანთან დაკავშირებულ პრობლემებზე გადის.

მისი თქმით, ცალსახად უნდა ითქვას, რომ ევროკავშირს აგვისტოს მოვლენების საწყის ეტაპზე რუსეთთან მიმართებაში სულ სხვა პოლიტიკა ჰქონდა, როცა ევროკავშირმა მასთან მოლაპარაკებების შეჩერების, ნატო-მ კი თანამშრომლობის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო.

მანვე დასძინა, რომ ამის შემდეგ რუსეთმა აგრესია კიდევ უფრო გააძლიერა და კრემლში ისკანდერის" რაკეტების ევროპული სახელმწიფოსთვის დამიზნების გადაწყვეტილება მიიღეს. სწორედ ამის შემდეგ ევროპამ რუსეთთან მიმართებაში არა პრინციპები, არამედ მასთან მიდგომაც შეცვალა," - აცხადებს შოთა მალაშხია, რომლის აზრითაც, ევროპა რუსეთს პარტნიორობას დაჰპირდება, ეყოლება მუდმივი მოლაპარაკებების რეჟიმში, მაგრამ არ გახდება მისი რეალური პარტნიორი მანამ, სანამ წაყენებულ ვალდებულებებს არ შეასრულებს. **ინტერპრესნიუსი**

### პრემიერ-მინისტრმა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდაში ჩასახლებული დენილები მოინახულა

პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდაში გუშინ დილით ჩავიდა. პრემიერ-მინისტრმა კოდაში ჩასახლებული დევნილები მოინახულა და მათ საცხოვრებელ პირობებს ადგილზე გაეცნო. როგორც გრიგოლ მგალობლიშვილმა განაცხადა, კოდაში ორიოდე დღის წინ შესახლებულ დევნილებს ყველანაირი საცხოვრებელი პირობები აქვთ შექმნილი, წვრილმანი პრობლემები კი ამ დღეებში მოგვარდება. ამის გარდა, თითოეული დევნილი სახელმწიფოსაგან 200 ლარის ოდენობის ფულად დახმარებას მიიღებს იმ საჭირო ნივთების შესაძენად, რაც მათ ადგილზე არა აქვთ. დღეს კოდაში შესახლებული 250 ოჯახი ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ მელიქიშვილმა, ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ და შოუბიზნესის წარმომადგენლებმა დავით გომართელმა, ოთარ კობერიძემ და მარინა ბერიძემაც მოინახულეს.

კობა სუბელიანის განცხადებით, დევნილი ოჯახები 200-ლარიან დახმარებას თვის ბოლომდე მიიღებენ. ამ დროისთვის მოგვარდება კოდაში მცხოვრებ დევნილ ბავშვთა სწავლის პრობლემაც. **ინტერპრესნიუსი**

### მოძრაობა 7 ნოემბრის წევრებსა და პოლიციელებს შორის ინციდენტი მოხდა

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" შენობასთან გუშინ მოძრაობა "7 ნოემბრის" წევრებსა და პოლიციელებს შორის ინციდენტი მოხდა.

მოძრაობის წარმომადგენლები "მაუწყებლის" გენერალური დირექტორ ლევან ყუბანეიშვილის გადადგომას ითხოვდნენ. ისინი "მაუწყებლის" კიბეებსა და ეზოში აკეთებდნენ წარწერას "დამაბიჯე, მატყუარას"! სწორედ ამ დროს შეეწინააღმდეგნენ პოლიციის თანამშრომლები აქციის მონაწილეებს.

ინციდენტის შედეგად მოძრაობა "7 ნოემბრის" წევრი ლევან გოგიჩაიშვილი დაშავდა.

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორი ლევან ყუბანეიშვილი მის მიმართ არასაპარლამენტო ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმულ პრეტენზიებს "სისულელეს" უწოდებს. "მსგავს უაზრობებზე და სისულელეებზე კომენტარის კეთება აბსურდულად მეჩვენება. ყველაფერი ეს სასაცილოა," - აღნიშნა ყუბანეიშვილმა. **საკუთარი ინფორმაცია**

### დავით ბაქრაძე ორდღიანი ვიზიტით ლატვიაში გაემგზავრა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ორდღიანი ვიზიტით ლატვიაში გაემგზავრა. დავით ბაქრაძე რიგაში რამდენიმე ოფიციალურ შეხვედრას გამართავს, სადაც საუბარი შეეხება საქართველოსთვის რუსეთის ოკუპაციის შედეგებს. ყურადღება გამახვილდება ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზეც. დაგეგმილია ორმხრივი შეხვედრები ლატვიის პრეზიდენტთან, სეიმის თავმჯდომარესა და საგარეო საქმეთა მინისტრთან. ბაქრაძე ლატვიის ოკუპაციის მუზეუმსაც მოინახულებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

მაგთი ფიქსი
MAGTI fix

ჩვენთან სიახლეა!




მაგთი ფიქსი უკვე ინტერნეტით
ჩართვა უფასო
1 წუთი – 1 თეთრი

მობრძანდით მაგთიკომის ნებისმიერ ოფისში, ჩაერთეთ
მაგთი ფიქსის ქსელში 60 ლარად და უფასოდ
მიიღეთ ახალი, სახლის უსადენო ტელეფონი
ანგარიშზე დარიცხული 10 ლარით
და გააქტიურებული ინტერნეტ–სერვისით.



@
www.magtifix.ge

დაგვირეკეთ:
890 500 500

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
CIVIL SOCIETY INSTITUTE

## ჟურნალისტთა კონკურსი - "ვიზრუნოთ ერთმანეთზე" - 2008

სოციალურ თემებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს: "ვიზრუნოთ ერთმანეთზე".

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს სოციალური თემების უფრო ფართოდ და ღრმად გაშუქებას.

კონკურსი ჩატარდება 4 ნომინაციაში:

1. საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტი;
2. საუკეთესო რადიო სიუჟეტი;
3. საუკეთესო სტატია;
4. საუკეთესო ფოტო ნამუშევარი;

ნომინაციებში გამარჯვებულებს გადაეცემა კონკურსის გამარჯვებულის დიპლომი და ფულადი ჯილდო 1000 ლარი!

კონკურსის პირობები
მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სახით:
- სატელევიზიო სიუჟეტი - CD-ზე ან ვიდეო კასეტაზე;
- რადიო სიუჟეტი - CD-ზე;
- სტატია – გაზეთი, ჟურნალი ან ვებ-გვერდის მისამართი, სადაც გამოქვეყნდა სტატია;
- ფოტო - CD-ზე(jpg ფორმატში) ან დაბეჭდილი A 4 ფორმატით;

საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალები გამოქვეყნებული ან ეთერში გასული უნდა იყოს 2008 წლის განმავლობაში.

საკონკურსო მასალები მიიღება 2008 წლის 30 ნოემბრამდე
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
მისამართი:
ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი 2, V სართული, ტელ. 941 605, 330 417 www.civilin.org/welfare

კონკურსის პარტნიორები

სადაზღვევო კომპანია
ჯი სი ჯგუფი

eed Evangelischer Entwicklungsdienst

თვალის მიკროქირურგიის
ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს
კლინიკა
"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოძრავი საოპერაციო
ბლოკით

უკანასკნელი თაობის ასფერული
მულტიფოკალური
ბროლი Acrysof-ReSTOR
საუკეთესო მხედველობა
სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე
ახლო მანძილზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

# ხოფაში მომხდარი ავტოავარიისას საქართველოს სამი მოქალაქე გარდაიცვალა

თურქეთის ქალაქ ხოფაში მომხდარი ავტოკატასტროფის დროს დაღუპულთა ვინაობა უკვე ცნობილია. როგორც საბოლოოდ დადგინდა, გარდაცვლილთაგან სამი -ხათუნა ბახტურიძე, ქეთევან წიკლაური და ფატიმა სკეროვა - საქართველოს მოქალაქეები იყვნენ. რაც შეეხება მეოთხე გარდაცვლილს, ვაგიფ ისმაილოვს, აზერბაიჯანის მოქალაქე იყო.

ტრაპზონში საქართველოს გენერალურმა საკონსულომ, გუშინ ავტოავარიისას დაზარალებულების შესახებ დეტალური ინფორმაცია გაავრცელა. ამ ინფორმაციის მიხედვით, დაზარალებულთაგან საქართველოში უკვე გადმოყვანილები არიან საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე საათაშვილი, თამაზ დამენია, თამილა ცირუკიძე, ზურაბ მარგიშვილი, ჯალალ აგაევი, ელვინ ნურმამედოვი, მაგარან იუსუფოვი, ჯალალ ფაშაევი, ირაკლი ბაღაშვილი, ქეთევან ლეკიშვილი, ასტან მუსაევი, ომარ აზიზოვი, ლევან ვალიევი, ფრიდონ სტეფნაძე, ზვიად კაკაბაძე, მაკა ადეიშვილი, თემო აშრალოვი, ნათია აშრალოვა, გიორგი სიდამონიძე, რუდენ კუტარია, ზარო მერგიშკო, მარია მამანატაქშევა, ხვიჩა ხარაიშვილი, გულშან ნამაზოვა, ილჰან მამედოვი.

მძიმედ დაშავებული ოთხი ქართველი კვლავ თურქეთშია, ისინი მკურნალობას რიზეს სახელმწიფო კლინიკასა და ტრაპზონის უნივერსიტეტის კლინიკაში გადიან. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მათ საქართველოში უახლოეს დღეებში გადმოიყვანენ.

კომპანია „მაჰმუდ ტურის» წინააღმდეგ ავტოავარიის შედეგად დაღუპულთა ოჯახები საქმის აღძვრას მოითხოვენ. ავტობუსი სწორედ ამ კომპანიას ეკუთვნოდა. ისიც დადგენილია, რომ გუშინწინ მომხდარი ავტოავარია, ამ კომპანიისთვის ბოლო ორი წლის განმავლობაში უკვე მეოთხე შემთხვევაა. გარდაცვლილთა ოჯახის წევრების განცხადებით, ავტოავარია სწორედ კომპანიის მძღოლის ბრალია.

ხოფაში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევ მიზეზად მძღოლის დაუდევრობა სახელდება. თურქმა სამართალდამცველებმა მსუბუქად დაშავებული მძღოლი მომხდარიდან რამდენიმე საათში, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ დააკავეს.

გაირკვა ისიც, რომ ავტობუსში სულ 38 ადამიანი იმყოფებოდა, აქედან ბილეთი 21 მგზავრზე იყო გაყიდული, 17 მგზავრი კი მძღოლმა გზაში აიყვანა. დაშავებულ მგზავრთა იდენტიფიცირება იმის გამო გაძნელდა, რომ 15 მგზავრს არანაირი პირადობის დამადასტურებელი საბუთი არ აღმოაჩნდა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# განაცხადი სტრასბურგისთვის

*ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში საქართველოდან კიდევ ერთი განაცხადი გაიგზავნება. ამჯერად, საჩივრის ავტორები, თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის უახლოესი მეგობრის, ქართველი სამართალდამცველების მიერ ძებნილ ქიბარ ხალვაშის კუთვნილი კომპანიების, „არტი ჯგუფის,“ „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის“ და შპს „პრიზას“ ადვოკატები არიან.*

ქიბარ ხალვაშის კუთვნილ კომპანიებთან დაკავშირებული დავა ქართულ მართლმსაჯულებას ჯერ არ დაუსრულებია. ამ ეტაპზე „არტი ჯგუფი,» „ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანი“ და „პრიზა“ არ ფუნქციონირებენ. ეს კომპანიები გასული წლის შემოდგომაზე დააყადაღეს. კომპანიებიდან სულ 4 ათასამდე თანამშრომელია დათხოვნილი.

საქმე ისაა, რომ კომპანია მიყენებულ ზარალს 100 მილიონ დოლარად აფასებს და ამ ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს. მომჩივანი მხარე ირწმუნება, რომ ხელისუფლება ქიბარ ხალვაშის კუთვნილ კომპანიებს ხელოვნურად აკოტრებს.

ქიბარ ხალვაშის კომპანიების ინეტერესების დამცველები ირწმუნებიან, რომ საქართველოს მთავრობამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებების მეშვეობით, კანონის უხეში დარღვევით, ათეულობით ადმინისტრაციული აქტი გამოსცა და საკმაოდ სოლიდური აქტივების მქონე საწარმოები მიზანმიმართულად გაანადგურა.

**შეწყვეტილია ექსკლუზიური ხელშეკრულება „პროქტერ ენდ გემბლთან.“ დამწვარი და განადგურებულია „არტის“ კუთვნილი ქონება, საწარმოს დარიცხული აქვს ასტრონომიული გადასახადები. კონკრეტული ბიზნესის მიმართ განხორციელებული მიზანმიმართული და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული შეტევა დაკავშირებულია ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის სახელთან. ამ უსამართლობის დაკანონებაში მონაწილეობს ხელისუფლების მესამე შტო - სასამართლო,** - აცხადებს «არტი-ჯგუფის» ადვოკატი დიმიტრი გაბუნია.

ქიბარ ხალვაშის კომპანიების ადვოკატები ყველა იმ მოსამართლეს უჩივიან, ვისაც კი ქიბარ ხალვაშის ქონების საქმესთან შეხება ჰქონია. ისინი მოსამართლეების თანამდებობიდან დათხოვნას და სამართლიან სასამართლოს მოითხოვენ. ადვოკატი დიმიტრი გაბუნია ირწმუნება, რომ ქართული მართლმსაჯულება უკანონო გადაწყვეტილებების დაკანონებას ცდილობს.

**„სასამართლო გაუგონარი სისწრაფით, საქმის ფაქტობრივი და იურიდიული გამოკვლევის გარეშე, საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით სასამართლო სხდომებს ატარებს და გადაწყვეტილებები ელვის სისწრაფით გამოაქვს. მიზანი ერთია, სწრაფად დამთავრდეს სასამართლო პროცესები და აუქციონის წესით გაყიდული საკმაოდ დიდი ქონება ვინმე დაინტერესებულმა ხელში ჩაიგდოს,“** - აცხადებს ადვოკატი.

გამოძიების მასალებით, ირაკლი ოქრუაშვილის მინისტრობის დროს, თავდაცვის სამინისტრომ «პრიზასთან“ და „ინტერნეშენალ ბილდინგ კომპანისთან“ ხელშეკრულება გააფორმა, რომლის თანახმადაც, კომპანიებმა სენაკისა და გორის სამხედრო ბაზები ააშენეს. სამართალდამცველები კომპანიებს თაღლითობას, სხვისი ქონების მითვისებას, უკანონო სამეწარმეო საქმიანობასა და გადასახადების დამალვას ედავებიან.

ჩვენი ინფორმაციით, ქიბარ ხალვაში საფრანგეთში იმყოფება. მან საფრანგეთის ხელისუფლებას თავშესაფრის მინიჭება სთხოვა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# უზენაესი სასამართლოს უარი

*გურამ შარაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით შეტანილი საკასაციო საჩივრის განხილვაზე უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა.*

შარაძის ოჯახის ადვოკატ ნინო ნიშნიანიძის განცხადებით, სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად განსაზღვრული ვადა 20 ნოემბერს ეწურებოდა, თუმცა გადაწყვეტილება უკვე გამოტანილია.

**„შარაძის საქმე დღემდე გამოუძიებელია. ექსპერტიზის ჩასატარებლად „ალდაგის“ ოფისში გადაღებულ ვიდეოფირს, რომელზეც შარაძის მკვლელობაა დაფიქსირებული, ამ დრომდე უშედეგოდ ვითხოვ. უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივარი შევიტანე, თუმცა სასამართლომ საქმე განუხილველად დატოვა. ამ გადაწყვეტილებას კატეგორიულად ვეწინააღმდეგები. თუ გურამ შარაძის მკვლელობის საქმე არ არის სერიოზული და ამ საქმის განხილვა პრაქტიკისთვის არაა საჭირო, მაშინ საერთოდ რაზეა საუბარი?! თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს საქმე შეთითხნილია და ბარათელი დაუდასტურებელი ბრალდებით იხდის სასჯელს. მისთვის გამოტანილი განაჩენი არ შეიძლება ძალაში დარჩეს,“** - ამბობს ნიშნიანიძე.

შარაძის ადვოკატი სახალხო დამცველთან სოზარ სუბართან კონსულტაციებს გეგმავს, რის შემდეგაც სახალხო დამცველის ოფისში პრესკონფერენციასაც გამართავს.

ადვოკატის პრეტენზიების პასუხად უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურში აცხადებენ, რომ უზენაეს სასამართლოში საჩივრის განხილვის დასაშვებობის კრიტერიუმები არსებობს.

**„იმისთვის, რომ უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად ცნოს საჩივარი, იგი კანონით დადგენილ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ, საქმე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ კატეგორიის საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან უნდა განსხვავდებოდეს. მესამე კრიტერიუმი კი იმაში მდგომარეობს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე ისეთი მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით უნდა იყოს განხილული, რასაც საქმის განხილვის შედეგზე არსებითად შეეძლო ემოქმედა. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული საჩივარი არ შეესაბამება კანონით დადგენილ კრიტერიუმებს და სწორედ ამ მიზეზით უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა მის განხილვაზე,“** - განმარტავენ უზენაესი სასამართლოს პრეს-სამსახურში.

გურამ შარაძე 2007 წლის 20 მაისს თბილისში, მელიქიშვილის გამზირზე მოკლეს. პროფესორის მკვლელობისთვის სამართალდამცველებმა იმავე დღეს შარაძეების ოჯახის ახლობელი, 29 წლის გიორგი ბარათელი დააპატიმრეს, რომელსაც განზრახ მკვლელობისა და იარაღის უკანონო ტარების ბრალდება წაუყენეს. მიუხედავად იმისა, რომ გურამ შარაძის ოჯახი გამოძიების ვერსიას არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ მკვლელობა დღემდე გახსნილი არ არის, საბოლოოდ, სასამართლომ გურამ შარაძის მკვლელობის საპროკურორო ვერსია დადასტურებულად მიიჩნია და ბრალდებულ გიორგი ბარათელს 27 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

*საკუთარი ინფორმაცია*

## იუშჩენკოს მოწამვლასთან დაკავშირებით კახა კალაძეც გამოიძახეს

«ვიქტორ იუშჩენკოს მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით უკრაინის გენერალურ პროკურატურაში ჩვენების მისაცემად უკრაინის ნაკრების ყოფილი წევრები ანდრეი გუსინი, ანდრეი შევჩენკო და კახა კალაძეც იყვნენ გამოძახებული,» - იუწყება გაზეთი „კომერსანტი უკრაინა.“

გამოცემის ვერსიით, ამ პირების გამოძიებით დაინტერესება ბიზნესმენ თამაზ ცინცაბაძესთან მათმა მეგობრულმა ურთიერთობამ განაპირობა. თავად ცინცაბაძეს საქმეში მოწმის სტატუსი აქვს. გამოძიების ინფორმაციით, იგი იმ სადილის ერთ-ერთი მონაწილეა, რომელზეც იუშჩენკო მოწამლეს.

ამ საქმეში კიდევ ერთი მოწმის, რადას დეპუტატ დავით ჟვანიას თქმით, აღნიშნული სადილის დროს ცინცაბაძე გვერდით ოთახში ფეხბურთს უყურებდა.

ცინცაბაძე კი აღნიშნავს, რომ ფეხბურთელებთან მართლაც მეგობრობს, თუმცა მათი პროკურატურაში დაკითხვის მიზეზები გაუგებარია.

როგორც გაზეთი იუწყება, უკრაინის გენერალური პროკურატურის მოადგილე ნიკოლაი გოლომშამ აღნიშნა, რომ კალაძის, გუსინისა და შევჩენკოს გამოძახების შესახებ მისთვის არაფერია ცნობილი.

„რა შუაში არიან ფეხბურთელები? ესენი ის ფიგურები არ არიან, რომლებზეც ჩვენ მოგვახსენეს. მე მომახსენეს სერიოზული ხალხის შესახებ, მაგალითად, დეპუტატებზე,“ - აღნიშნა გოლომშამ.

*ინტერპრესნიუსი*

## ჯარისკაცების მამის მოთხოვნა

სოფელ ურბნისში მცხოვრები ილია ხანიშვილი შვილების მიმართ სამართლებრივი დევნის შეწყვეტას ითხოვს.

როგორც „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ილია ხანიშვილმა განაცხადა, ორივე შვილი ომში გაუშვა, თუმცა იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებას ისინი გმირებად გამოეცხადებინა, ერთი დააკავა დეზერტირობის ბრალდებით, მეორეს კი 14-ათასიანი ჯარიმის გადახდა ემუქრება.

ჯარისკაცების მამის თქმით, უფროსი ვაჟი - ლევან ხანიშვილი უკანონოდ დააკავეს იმ მიზეზით, რომ ვაზიანში იარაღი ორი დღის დაგვიანებით ჩაიტანა.

„ლევანის ბატალიონის ასმეთაური ვინმე ამონაშვილი იარაღის ვაზიანში ჩატანას დაჟინებით მოითხოვდა, თუმცა ქართველი ჯარისკაცი რუსების ბლოკპოსტებზე იარაღს როგორ გაატარებდა, გაურკვეველი იყო. ჩემი შვილი მხოლოდ ორი დღის დაგვიანებით, 27 აგვისტოს ურბნისის ეკლესიის მოძღვრის, მამა ლევანის დახმარებით ჩავიდა ვაზიანში და იარაღი ჩააბარა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც დააკავეს დეზერტირობის ბრალდებით და 5-დან 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება,“ - ამბობს ილია ხანიშვილი.

რაც შეეხება ხანიშვილის მეორე შვილ ზურაბ ხანიშვილს, როგორც მამა აცხადებს, მას კონტრაქტი ძალით დაარღვევინეს და 14- ათასლარიანი ჯარიმის გადახდა ემუქრება.

„ამ ჯარიმას ოჯახი ვერანაირად ვერ გადაიხდის, ვინაიდან სოციალურად დაუცველები ვართ და ამის დამადასტურებელი მოწმობაც გვაქვს. ხელისუფლებას ძალიან ვთხოვ, რომ ჩემი შვილების მიმართ დევნა შეწყდეს და ისინი გამოუშვან. ჩემი ორივე ვაჟი ფრონტის წინა ხაზზე გავგზავნე. იმის მაგივრად, რომ გმირებად ელიარებინათ, მათ მიმართ უკანონოდ დევნა დაიწყეს,“ - განაცხადა ჯარისკაცების მამამ.

არსებული ინფორმაციით, ჯარისკაცების მიმართ დეზერტირობისა და სამხედრო ადგილის თვითნებურად მიტოვების მუხლებით 170-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

**ინტერპრესნიუსი**

## ექიმი ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს

ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტზე ხობის საავადმყოფოს ექიმი დააკავეს. დავით მაჭავარიანი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა იმ დროს აიყვანეს, როცა ექიმმა ავადმყოფისთვის განკუთვნილი ნარკოტიკული ნივთიერება სენაკელ მოქალაქეს მიჰყიდა. ქირურგს პრეპარატის ნაკლებობა განყოფილებაშიც აღმოაჩნდა. გამოძიება კლინიკის დოკუმენტაციას ამოწმებს.

დაკავებულს ბრალი უკვე წაუყენეს. დავით მაჭავარიანს 6-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

**პირველი**

## დაკავება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით

სამართალდამცველებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით ორი პირი დააკავეს. შსს-ის პრესსამსახურის ინფორმაციით, 49 წლის არშაკ აფოიანი სამცხე- ჯავახეთის პოლიციამ დააკავა. მისი სახლის ჩხრეკისას ამოღებულია არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი.

რაც შეეხება 38 წლის ჯაბა სტეფნაძეს, იგი სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციამ დააკავა. სტეფნაძეს, რომელიც წარსულში ნასამართლევია, ბინის ჩხრეკისას უნომრო ავტომატი მჭიდითა და ვაზნებით აღმოაჩნდა. ორივე ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ოთხი წლის წინ მომხდარი ყაჩაღობა გახსნილია

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა 2004 წლის 20 იანვარს მომხდარ ყაჩაღობაში ეჭვმიტანილები დააკავეს. 2004 წლის 20 იანვარს თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე დამნაშავეთა ჯგუფმა „ელიზის» ფირმის სამი დისტრიბუტორი დააყაჩაღა და 61 ათასი ლარი გაიტაცა. დანაშაულიდან ოთხი წლის შემდეგ, დაკავებულია 36 წლის ბესარიონ ოთხვანი, რომლისგანაც „მაკაროვის“‘ სისტემის პისტოლეტია ამოღებული. მეორე ეჭვმიტანილ ერმილე ვიბლიანის საცხოვრებელი ბინიდან კი სამართალდამცველებმა ჩხრეკის შედეგად ორი ჯავშანჟილეტი, ღამის ხედვის მოწყობილობა, „გლოკის» სისტემის პისტოლეტი, „მაკაროვის» სისტემის პისტოლეტი და „ბრაუნინგის» სისტემის იარაღი ამოიღეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, თევდორე მღვდლის ქუჩაზე მომხდარ დანაშაულში ეჭვმიტანილია კიდევ ოთხი პიროვნება - მევლუდ გუჯეჯიანი, რომელიც სასჯელს რუსთავის კოლონიაში იხდის, 35 წლის ლაშა წურწუმია, რომელიც სასჯელს საზღვარგარეთ იხდის, 30 წლის მამუკა კვიციანი, რომელიც 2002 წლიდან განზრახ მკვლელობის ბრალდებით იძებნება და 28 წლის მამუკა გურჩიანი - იგი ნარკოტიკების მოხმარებისთვის არის დაპატიმრებული.

**პირველი**

## საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ერთიან კომპიუტერულ ქსელში

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიან კომპიუტერულ ქსელში დედოფლისწყაროს, ამბროლაურის, ყვარლის, ზუგდიდისა და ახმეტის სარეგისტრაციო სამსახურები ჩაერთო. ეს ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურები მთლიანად გადავიდნენ ელექტრონულ დოკუმენტბრუნვაზე, რამაც საჯარო რეესტრის წარმომადგენელთა განცხადებით, მოქალაქეებისთვის სარეგისტრაციო პროცედურები მნიშვნელოვნად დააჩქარა და გაამარტივა.

ვებპროგრამის რეგიონებში ამოქმედების შემდეგ მოქალაქეებს საშუალება მიეცათ, ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართული ქალაქებიდან მომსახურება დისტანციურად მიიღონ, იმ ქალაქში ჩასვლის გარეშე, სადაც უძრავი ქონება გააჩნიათ.

დღეისთვის კომპიუტერულ ქსელში ჩართულია 44 სარეგისტრაციო სამსახური. 2008 წლის ბოლომდე კიდევ სხვა ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის ჩართვა იგეგმება.

**საკუთარი ინფორმაცია**

## ინგუში და ოსი სტუდენტების ჩხუბი მკვლელობით დასრულდა

რუსეთის დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი დავის შედეგად მომხდარი დანაშაულის რიცხვი გახშირდა. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში მოხდა. ოს და ინგუშ სტუდენტებს შორის დაწყებული კამათი მკვლელობით დასრულდა. მოსკოველი სამართალდამცველების ინფორმაციით, ჩხუბის ერთ-ერთი მონაწილე სტუდენტი ოლეგ ჩირკიევი ჩრდილოეთ ოსეთის მკვიდრი იყო. მეორე კი ინგუშეთის, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით არ სახელდება. ინციდენტის დროს ოლეგ ჩირკიევი დანით მიყენებული ჭრილობებით გარდაიცვალა. ძალოვნების ინფორმაციით, ჩხუბის სხვა მონაწილეთა დასადგენად ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებები ტარდება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# "პირადი საქმე" თუ დანაშაული

### ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო და ქართული მექანიზმები

თამარ კაციტაძე

*მიუხედავად იმისა, რომ ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას განვითარებულ ქვეყნებში საფუძველი XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ჩაეყარა, დღეისთვის მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა აღიარებს, ოჯახური ძალადობის მსხვერპლის დაცვისა და მოძალადეთა დასჯის აუცილებლობას. გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით, ორწლიანი კვლევისა და ანალიზის შედეგად, 1996 წელს მომზადდა „გაერო-ს მოდელური კანონმდებლობა ოჯახურ ძალადობაზე,“ რომელსაც ბევრი სახელმწიფო, მათ შორის საქართველოც შეუერთდა.*

კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, ხშირ შემთხვევაში, ქალები და ბავშვები არიან, ხოლო მოძალადეები - მამაკაცები. თუმცა, ოჯახური ძალადობის ობიექტი, შეიძლება იყოს ოჯახის ნებისმიერი წევრი, მათ შორის ხანდაზმული მშობლები და მამაკაცებიც.

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ოჯახური ძალადობის აღსაკვეთად განსხვავებულ ღონისძიებებს მიმართავენ. თუ ზოგიერთ ქვეყანაში ამ საკითხებს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არეგულირებს, რიგ ქვეყნებში იგი სამოქალაქო სამართლის დავის საგანია. ზოგან კი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით განისაზღვრება, ეს სფერო სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის ნორმებით დარეგულირდეს. თუმცა, დღემდე გადაუჭრელია პრობლემა, ჩაითვალოს თუ არა ოჯახური ძალადობა ორ ინდივიდს შორის არსებულ კერძო საკითხად, რომელიც საჭიროებს თერაპიასა და არა ჩარევას. რადგან, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, მეტად რთულია ზღვარის გავლება, სად მთავრდება „პირადი საქმე“ და სად იწყება დანაშაული, რომელიც დასჯას უნდა ითვალისწინებდეს.

იმის გამო, რომ კანონმდებლებიც ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდნენ, უნდა მოხდეს თუ არა ოჯახური ძალადობის ფაქტების კრიმინალიზაცია და განიხილებოდეს იგი როგორც ჩვეულებრივი დანაშაული, თუ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ კონსულტაციებითა და მედიატორის როლით, ამიტომ ოჯახურ ძალადობას ყველა ქვეყანაში სხვადასხვა მეთოდით უპირისპირდებიან.

საქართველოს პარლამენტის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ანალიზით, განვითარებულ, კერძოდ, აშშ-სა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში (ავსტრია, ესპანეთი, ფინეთი, შვედეთი) ფართოდ გამოიყენება ოჯახური ძალადობის «შემზღუდავი ორდერები,» რომელსაც პოლიციის თანამშრომლები ძალადობის საფრთხის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე გასცემენ.

ავსტრიაში საკმარისია ნებისმიერი შეტყობინება, მაგალითად, მეზობლის ზარი, რომ პოლიციამ კანონით მინიჭებული უფლებით, ადგილზე შეაფასოს სიტუაცია და ოჯახური ძალადობის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, გასცეს ორდერი მოძალადის სახლიდან დროებით გაძევების შესახებ. ორდერი გაიცემა 10-დღიანი ვადით და მისი მოქმედების პერიოდში მოძალადეს ეკრძალება მსხვერპლთან ყოველგვარი ურთიერთობა. თუ ამ პერიოდში მსხვერპლი სამოქალაქო სასამართლოს მიმართავს, ორდერის მოქმედების ვადა 20 დღემდე გრძელდება. ამასთან, ავსტრიაში მოქმედებენ კერძო სამართლის სპეციალიზებული იურიდიული პირები, ე.წ. „ჩარევის ცენტრები,“ რომლებიც მსხვერპლისთვის ეფექტური კონსულტაციის გაწევასა და მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ.

აშშ-ს მთელ რიგ შტატებში პოლიციას გადაუდებელი შემზღუდავი ორდერის გამოსაცემად სასამართლოს თანხმობა სჭირდება. ამ მიზნით სასამართლოში ყოველთვის იმყოფება მორიგე მოსამართლე, რომელიც პოლიციის თანამშრომელს, მისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ასეთი ორდერის გაცემის უფლებას აძლევს. გადაუდებელი შემზღუდავი ორდერის მოქმედების ვადა 72 საათია.

ფინეთში ოჯახური ძალადობის «აკრძალვის ორდერი» 1999 წელს შემოიღეს. იქაური კანონმდებლობით, განსაზღვრულია ორი სახის აკრძალვის ორდერი: ძირითადი აკრძალვის ორდერი, რომელიც მოძალადეს უკრძალავს მსხვერპლთან შეხვედრას ან ურთიერთობის მცდელობას, და მეორე - განვრცობილი აკრძალვის ორდერი, რომელიც მოძალადეს ასევე მსხვერპლის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის ახლოს გამოჩენას უკრძალავს.

ორდერის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში პირს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა ან მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 1 წლამდე ვადით.

აშშ-ის და ბევრი ევროპული ქვეყნისგან განსხვავებით, უკრაინაში „ოჯახში ძალადობის თავიდან აცილების შესახებ“ კანონი უმაღლესმა რადამ 2001 წელს მიიღო და იგი ოჯახში ძალადობის თავიდან აცილების სპეციალური ღონისძიებებით შემოიფარგლება. ანუ უკრაინული კანონმდებლობით, მოძალადე იღებს ოფიციალურ გაფრთხილებას ოჯახში ძალადობის ჩადენის დაუშვებლობის შესახებ, ამასთან იგი აჰყავთ პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე და ა.შ. გადაწყვეტილებას დაცვითი მითითების მიცემის შესახებ იღებს მილიციის უბნის ინსპექტორი ან არასრულწლოვანთა საქმეებზე სისხლის სამართლის სამსახურის თანამშრომელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს უფროსთან ან პროკურორთან შეთანხმებით. ერთი სიტყვით, უკრაინაში კანონის ძირითადი მიზანია ოჯახური ძალადობის არდაშვება, მისი აღკვეთა საწყის სტადიაზე, მანამ, სანამ კონფლიქტი ღია ფორმას მიიღებს და გამოუსწორებელ შედეგებს გამოიწვევს.

საქართველოში კანონი «ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ» 2006 წლის მაისში მიიღეს. ქართული კანონმდებლობა ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის პარალელულად, ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილების მექანიზმებსაც ითვალისწინებს.

საქართველოში ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, შინაგან საქმეთა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები და პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები უზრუნველყოფენ.

ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისთვის კი გამოიყენება როგორც სისხლისსამართლებრივი, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები.

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები განისაზღვრება «შემაკავებელი ორდერით,» რომელსაც პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი გამოსცემს. ეს აქტი 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად სასამართლოს წარედგინება. მოძალადის მიერ დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.

მართალია, ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში ძალიან გახშირდა ოჯახური ძალადობის ფაქტები, რაც ხშირად სრულდება მკვლელობებით და სხვა მძიმე დანაშაულითაც, მაგრამ ჯერჯერობით სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეების სტატისტიკაში ოჯახური ძალადობის მუხლით გასამართლებულთა მონაცემი არ არსებობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2007 წლიდან დღემდე საქართველოში სულ აღრიცხულია 757 ოჯახური ძალადობის ფაქტი. აქედან, 686 შემთხვევაში მოძალადე მამაკაცი იყო, 71-ში კი - ქალი. რაც შეეხება მსხვერპლს, მათი რაოდენობა ასე ნაწილდება - ოჯახური ძალადობის მსხვერპლია 682 ქალი, კაცი - 76, მათი უმრავლესობა ხანდაზმულია.

აღრიცხული საქმეებიდან, სასამართლოში 2008 წლის ცხრა თვეში მხოლოდ 169 საქმე გადაიგზავნა და ყველა ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოში, სადაც 153 საქმე მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილდა.

ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა და გაერო-ს კონვეციაც, თუ მოძალადის სახლიდან გაძევებას ითვალისწინებს, საქართველოში პირიქით, კანონის დამცველებს ოჯახიდან მსხვერპლი გაჰყავთ. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულს საცხოვრებელი ადგილი არ აქვს, მოთხოვნის შემთხვევაში, კანონით იგი ორი თვით სპეციალურ თავშესაფარშიც უნდა გადაიყვანონ. თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამგვარი დაწესებულება საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს. ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, მსხვერპლი კვლავ მოძალადესთან ერთად რჩება საცხოვრებლად, რის გამოც იგი სისტემატურად ოჯახური ძალადობის ობიექტი ხდება.

ოჯახური ძალადობის შემთხვევაში «დამცავი ორდერის» გამოცემის მოთხოვნის უფლება

აქვს მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს ან მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს, ხოლო ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. «დამცავი ორდერი» გამოიცემა სამი თვით და მისი ვადის გაგრძელების ან შემცირების საკითხს სასამართლო განსაზღვრავს.

თუმცა, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ქართულ სინამდვილეში ხშირია შემთხვევა, როდესაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლი სამართალდამცველებს მიმართავს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, დაწესებული სანქციების მოხსნას თვითონვე ითხოვს.

გარდა ქართული კანონმდებლობისა, საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გახდა და საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები არ აკმაყოფილებს, შეუძლია უფლებები დაიცვას დოკუმენტით „გაერო-ს მოდელური კანონმდებლობა ოჯახურ ძალადობაზე.» კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტი მოძალადეს ავალდებულებს, საცხოვრებელი დატოვოს;ამასთან მოძალადის მეურვეობის ქვეშ მყოფ ბავშვებთან ურთიერთობას არეგულირებს; მას უკრძალავს, მსხვერპლს შეხვდეს სამსახურში ან იმ ადგილებში, რომელსაც ის ხშირად სტუმრობს; მას აიძულებს, მსხვერპლის სამედიცინო მომსახურების ხარჯები გადაიხადოს; საერთო საკუთრებაში არსებული ქონების ცალმხრივი განკარგვის უფლებას კრძალავს; მსხვერპლსა და მოძალადეს ატყობინებს, რომ, თუ მოძალადე ორდერით გათვალისწინებულ პირობებს დაარღვევს, იგი შეიძლება დააპატიმრონ და სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მისცენ. ამასთან, მსხვერპლს შეუძლია, სამოქალაქო სამართლებრივი საქმე აღძრას და გაყრა, ზარალის ანაზღაურება ან კომპენსაციის მიღება მოითხოვოს.

# საკადრო ცვლილება ამერიკის საგარეო დაზვერვაში

## მთავარი ანალიტიკოსი თანამდებობას ტოვებს

ხათუნა გაბიევი

*თომას ფინგარი ნაციონალური დაზვერვის დირექტორის მოადგილე და ნაციონალური დაზვერვის საბჭოს თავმჯდომარე 2005 წლის მაისიდან გახდა. მისი თანამდებობა არაპოლიტიკურია. თანამდებობიდან წასვლის ოფიციალური მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.*





გავლენიანმა ამერიკულმა კორპორაციამ "ფოქსნიუსმა" ამერიკის ნაციონალურ დაზვერვაში საყურადღებო საკადრო ცვლილების შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, რომელიც, თავის მხრივ, თეთრ სახლში ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ცნობებს ემყარება. მან ანონიმურობის შენარჩუნება ისურვა. შეერთებული შტატების საგარეო დაზვერვის მთავარი ანალიტიკოსი, დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე თომას ფინგარი თანამდებობას ტოვებს.

მას აღნიშნულ პოსტებზე მიმდინარე წლის 1 დეკემბერს ოფიციალურად პიტერ ლავოი ჩაანაცვლებს, რომელიც დღემდე ნაციონალურ დაზვერვაში სამხრეთ აზიის დეპარტამენტში მუშაობდა.

თანამდებობის დატოვებამდე ერთი დღით ადრე თომას ფინგარმა ანგარიშში - "2025 წლის გლობალური ტენდენციები: სახეცვლილი მსოფლიო" - შეერთებული შტატებისთვის არცთუ დამაიმედებელი გრძელვადიანი პროგნოზები გამოაქვეყნა.

**"შეერთებული შტატები დარჩება უძლიერეს სახელმწიფოდ, მაგრამ ნაკლებად დომინანტური გახდება. შერყეული ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება ოფიციალურ ვაშინგტონს საგარეოპოლიტიკური და შიდაპოლიტიკური პრიორიტეტების არჩევის წინაშე დააყენებს,"** - ნათქვამია ანგარიშში, რომელიც მსოფლიოს "მრავალპოლუსიან მომავალს" უწინასწარმეტყველებს.

ფინგარის პროგნოზით, სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეა 2025 წლისთვის გაერთიანდება, ხოლო ჩინეთი მსოფლიოში რიგით მეორე ძლიერ ეკონომიკად და მსხვილ სამხედრო ძალად იქცევა. სანავთობო ბუმის გამო რუსეთი 2017 წლისთვის მსოფლიოში რიგით მეხუთე წამყვანი ეკონომიკური სახელმწიფო გახდება. ჩინეთის, ინდოეთისა და რუსეთის გარდა, საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი როლი ერგებათ ინდონეზიას, თურქეთსა და ირანს სასულიერო ხელისუფლებისგან გათავისუფლების ხარჯზე.

ფინგარის ანგარიშის თანახმად, საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის მიუხედავად, ახლო აღმოსავლეთი მსოფლიოში არასტაბილურობის ცენტრი კიდევ დიდხანს იქნება. მომავალი 20 წლის განმავლობაში რეგიონში ვითარება მხოლოდ გაუარესდება.

მისი თქმით, მომავალი ათი წლის განმავლობაში ტერორისტების აქტიურობა კიდევ უფრო გაიზრდება, ხოლო თავდასხმები უახლესი ტექნიკის წყალობით გაცილებით დახვეწილი გახდება. ფინგარი არც მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების ალბათობას გამორიცხავს.

თომას ფინგარმა ახლახანს გამოქვეყნებული ანგარიშის ზოგიერთი პუნქტი ჯერ კიდევ სექტემბერში გაახმაურა. ანგარიშის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ჰეგემონობის შესუსტებაა მოსალოდნელი.

**"საერთაშორისო ორგანიზაციები - გაერო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, მსოფლიო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, ისევე როგორც ნატო, ვეღარ გაუმკლავდებიან გლობალიზებული მსოფლიოს ახალ გამოწვევებს,"** - აღნიშნა სექტემბერში თომას ფინგარმა.

შეერთებული შტატების ნაციონალური დაზვერვის ხელმძღვანელის აწ უკვე ყოფილი მოადგილის აზრით, არსებობს იმის სერიოზული საფრთხე, რომ საერთაშორისო ასპარეზზე დასავლეთი ლიდერის პოზიციას დაკარგავს და მას აღმოსავლეთის ქვეყნები ჩაანაცვლებენ.

ფინგარმა ყურადღება გაამახვილა ისეთ ფაქტორზე, რომ იმ დროს, როდესაც შეერთებულ შტატებში, კანადასა და ევროპაში მოსახლეობის ოდენობა სულ უფრო მცირდება, მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ზრდა ფიქსირდება აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალური აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. შეერთებული შტატების ნაციონალურ დაზვერვაში წამყვანი ანალიტიკოსის რეპუტაციის მქონე მაღალჩინოსნის აზრით, საერთაშორისო ასპარეზზე მსოფლიო გავლენის ცვლილების პირველი მანიშნებელი ფინანსური კრიზისით გამოწვეული ვითარება იქნება.

ამ დროს მნიშვნელოვან როლს ახლო აღმოსავლეთის რეგიონი შეასრულებს, ვინაიდან იქ ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე მსოფლიო ყურადღებას უეჭველად მიიპყრობს. თუმცა, ნავთობრესურსებზე დაფუძნებული სიმდიდრე, სუსტ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და სხვადასხვა ინტენსივობის კონფლიქტებთან ერთად, მსოფლიოში სტაბილურობას უდიდეს საფრთხეს უქმნის.

თომას ფინგარმა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დაზვერვისა და კვლევების ბიუროში 20 წელს იმუშავა. 2002 წელს ბიუროს დასკვნები ერაყის მიერ ბირთვული პროგრამის განვითარების შესახებ შეერთებული შტატების ნაციონალური დაზვერვის შეფასებისგან განსხვავებული იყო. ბიუროს ხელმძღვანელის თანამდებობა ფინგარს 2004 წლის ივლისიდან 2005 წლამდე ეკავა, ვიდრე ნაციონალური დაზვერვის შეფის მოადგილე გახდებოდა.

თომას ფინგარის მიერ თანამდებობის დატოვებაზე ინფორმაციის პარალელურად, თეთრი სახლის ანონიმმა მაღალჩინოსანმა "ფოქსნიუსს" ისიც აცნობა, რომ სენატში დაზვერვის კომიტეტის ახალი ხელმძღვანელი, ისტორიაში პირველად, ქალი გახდება - "დემოკრატი" დაიან ფაინშტაინი, რომელიც სენატორ ჯონ როკფელერს ჩაანაცვლებს, მხოლოდ ეს ცოტა მოგვიანებით მოხდება, რადგან "დემოკრატებმა" სენატში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომიტეტის ხელმძღვანელის შეცვლის საკითხი დროებით გადადეს.

# სერბეთი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში ხორვატიას უჩივის

როგორც გუშინ სერბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვუკ ერემიჩმა განაცხადა, ბელგრადი ზაგრებს ეთნიკურ წმენდასა და მრავალ სამხედრო დანაშაულში სდებს ბრალს, რაც ქვეყნის ტერიტორიაზე 1995 წელს, ოპერაცია "ქარიშხლის" დროს განხორციელდა. ეს ნაბიჯი სერბეთმა ხორვატიის სარჩელის საპასუხოდ გადადგა.

გაერო-ს საერთაშორისო სასამართლომ სამშაბათს მიიღო გადაწყვეტილება, განიხილოს ხორვატიის სარჩელი, რომელშიც ის იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკას ქვეყნის ტერიტორიაზე 1990-იანი წლებში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის დროს ხორვატების გენოციდში სდებს ბრალს. მას შემდეგ, რაც ჩერნოგორია იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის შემადგენლობიდან გამოვიდა, გაერო-ს სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საქმეში ერთადერთ მოპასუხედ სერბეთი რჩება. საერთაშორისო სასამართლომ ამ დადგენილების გამო ბელგრადის წინასწარი პროტესტი არ დააკმაყოფილა.



*ვუკ ერემიჩი*

**"ხორვატიამ არაადეკვატურად უპასუხა სერბეთის მიერ შერიგების მიზნით გაწვდილ ხელს, რასაც სერბეთი ხორვატიას არაერთხელ სთავაზობდა, რათა წარსული უკან მოგვეტოვებინა და საერთო ევროპული მომავლისკენ გვებრუნა პირი. სიმართლის დადგენის მიზნით ბრალდებას ახლა ხორვატიას წავუყენებთ,"** - განაცხადა ერემიჩმა სახელმწიფო ტელეარხ "RTS"-ის ეთერში.

მან ასევე აღნიშნა, რომ ხორვატია არ აღიარებს ეთნიკური წმენდის ფაქტს თავის ტერიტორიაზე, რომლის შედეგადაც ქვეყანა 250 ათასმა სერბმა დატოვა.

**"ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ჩვენი შემთხვევა ადეკვატურად იყოს წარმოდგენილი სასამართლოში. ჩვენ მხედველობაში მივიღებთ მეოცე საუკუნის ყველა მოვლენას - მეორე მსოფლიო ომის დროს და ხორვატიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის პერიოდში. ჩვენ გადავხედავთ ისტორიას, რათა ჩვენი საერთო მომავლისთვის სიმართლე დავადგინოთ,"** - განაცხადა სერბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

მოვლენები, რომლებიც სერბეთის სარჩელის საგანს წარმოადგენს, 1995 წლის აგვისტოთი თარიღდება და ამ პერიოდში ჩატარებულ ოპერაცია "ქარიშხალს" უკავშირდება. აღნიშნული ოპერაცია, რომელიც ხორვატიის არმიამ და პოლიციამ აშშ-ს პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერით ჩაატარა, თვითგამოცხადებულ რესპუბლიკა სერბსკაია კრაინას მოქალაქეების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ოპერაციის შედეგად 1995 წლის 4 აგვისტოს, დაახლოებით, 250 ათასი სერბი იძულებული გახდა, საკუთარი სახლები დაეტოვებინა და სერბეთსა და ბოსნიის სერბულ ნაწილში გადასახლებულიყო.

ოპერაცია "ქარიშხალი" ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩატარებულ ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ ეთნიკურ წმენდად არის მიჩნეული. მსხვერპლის რაოდენობის შესახებ ზუსტი ცნობები დღემდე არ არის ცნობილი, თუმცა ზოგიერთი მონაცემებით, ოპერაცია "ქარიშხალს", დაახლოებით, ორი ათასი ეთნიკური სერბი შეეწირა.

### გერმანიაში ებრაული სასაფლაო შეურაცხყვეს

უცნობებმა გერმანიის ქალაქ გოთაში, ებრაული სასაფლაოს ჭიშკართან დავითის ვარსკვლავზე ღორის თავი დაკიდეს. ანტისემიტებმა ღორის თავს ასეთი პლაკატი მიაკრეს: „6 მილიონი იტყუება“ - უკუგზავნილი ევროპისა და სსრკ-ს 6 მილიონი ებრაელისადმი, რომლებიც ნაცისტებმა დახოცეს.

ქალაქის პოლიციამ პირობა დადო, რომ უახლოეს მომავალში იპოვის და დასჯის სასაფლაოს შეურაცხმყოფელებს. მიმდინარე წლის იანვრიდან ქალაქის პოლიციაში ანტისემიტურ ქმედებებზე 790 საჩივარია შესული, რაც რეკორდულია მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დროიდან. მარტო შარშან გერმანიის სასამართლოებში 17 ათასი ნეონაცისტი იქნა გამოძახებული.

ჰოლოკოსტის შემსწავლელი მეცნიერი გოთფრიდ ქოსლერი აცხადებს, რომ თანამედროვე გერმანელ ახალგაზრდებში სიტყვა „ებრაელი“ სალანძღავ სიტყვად არის ქცეული. **მედიანიუსი**

### აშშ-ს სახელმწიფო მდივნობისთვის ვეტერანი დიპლომატი, მეტსახელად „ბულდოზერი“ ემზადება

ამერიკის ბეჭდვით მედიასაშუალებებში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ამერიკული დიპლომატიის ვეტერანი რიჩარდ ჰოლბრუკი სახელმწიფო მდივნის პოსტზე დასანიშნად ინტენსიურ ლობისტურ კამპანიას ეწევა, იუწყებ „ბი-ბი-სი“.

„ჰოლბრუკმა რეპუტაცია შეიქმნა, როგორც სპეციალურმა დესპანმა ბალკანეთში. 90-იანი წლების ბოლოს მისი ძალისხმევის შედეგად ბოსნიის კონფლიქტი დარეგულირდა. მას მშვიდობიანი შეთანხმებების „მთავარ არქიტექტორს“ უწოდებენ. ჰოლბრუკმა დიდი როლი ითამაშა აშშ-სა და კორეის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობების მოწესრიგების მხრივაც და გაერო-ში ამერიკის ინტერესებს წარმოადგენდა“, -იუწყება „ბი-ბი-სი“.

„ბი-ბი-სი“-ის ინფორმაციით, ამ პოსტისთვის ჰოლბრუკს არცთუ ისე მარტივად მოსაგვარებელი საქმეები ექნება, რადგან ამერიკის არჩეული პრეზიდენტის გარდამავალი შტაბის ხელმძღვანელობაში მისთვის კეთილისმსურველი ბევრი ადამიანი არ შედის. საქმე ის არის, რომ 34-წლიანი დიპლომატიური კარიერის განმავლობაში მან შეიძინა ისეთი უხეში, მტკიცე და ურყევი მომლაპარაკებლის რეპუტაცია, რომ ზედმეტსახელად „ბულდოზერი“ და „მრისხანე ხარი“ შეარქვეს. **ინტერპრესნიუსი**

### ირანელ ახალგაზრდას ისრაელის სასარგებლოდ შპიონაჟის ბრალდებას უყენებენ

ისრაელის სასარგებლოდ შპიონაჟის ბრალდებით ირანელი ბლოგერი, 33 წლის ჰოსეინ დერექშანია დაპატიმრებული. სამიოდე თვის წინ ის კანადიდან ირანში დაბრუნდა, სადაც 2002 წლიდან ცხოვრობდა.

თავის პუბლიკაციებში დერექშანი თანამემამულეთა თვალში ისრაელის „გაადამიანურებას“ ცდილობდა, რითიც უარყოფითი სტერეოტიპების დანგრევას ლამობდა, - წერს „იერუსალემ პოსტი“.

ბრალდების დეტალების, შპიონაჟის მიზნებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. მდიდარი თეირანელი ხალიჩების მწარმოებლის ვაჟი ჰოსეინი პირველად ფართო საზოგადოების წინაშე სამშობლოში წარდგა. მას ინტერნეტგვერდი ჰქონდა, სადაც 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მოსახლეობის სწორად ინფორმირებისთვის ბლოგი დააარსა.

კანადაში გადასვლის შემდეგ მან ბლოგის წარმოება განაგრძო, რადგან ცდილობდა, ირანელ და ებრაელ ხალხს შორის დამაკავშირებლის როლი შეესრულებინა. დერექშანის აზრით, ამ ორ ერს საკუთარი მთავრობები და მედია პოლიტიკური მიზნებისთვის მანიპულაციას უწევს. **მედიანიუსი**

### სომალელმა მეკობრეებმა რამდენიმე გემი შეიპყრეს

აფრიკის ნაპირებთან სომალელმა მეკობრეებმა კიდევ რამდენიმე გემი შეიპყრეს.

რადიო „თავისუფლების“ ინფორმაციით, ტაილანდურ თევზსაჭერი გემის ბორტზეც ეკიპაჟის 16 წევრი იმყოფება. გარდა ამისა, გუშინ სომალელმა მეკობრეებმა დააკავეს სუპერტანკერი „სირიუს სტარი“, რომელიც 100 მილიონი დოლარის ნავთობით არის დატვირთული, აგრეთვე - ჰონკონგის მშრალტვირთმზიდი გემი, რომლის ბორტზეც 25 მეზღვაური იმყოფება,“ - აღნიშნავს რადიო.

ცნობისთვის: სომალელი მეკობრეების მიერ აქამდე დაკავებულ გემებზე საქართველოს მოქალაქეებიც იმყოფებოდნენ. მათი ნაწილის გათავისუფლების თაობაზე შეთანხმება უკვე მიღწეულია და მათ უახლოეს დღეებში გაათავისუფლებენ. **მედიანიუსი**

# საკონსტიტუციო ცვლილებები რუსულად

## სახელმწიფო დუმამ პრეზიდენტ მედვედევის კანონპროექტი დაჩქარებული ტემპით მიიღო

*რუსეთის სახელმწიფო დუმამ მეორე მოსმენით უსწრაფესად მიიღო კანონპროექტი კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის შესახებ. პრეზიდენტ მედვედევის წინადადებებზე მსჯელობის დროს სკანდალი გაჩაღდა, რადგან უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ დოკუმენტი ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი შესწორებების ფორმალურად განხილვის გარეშე მიეღო.*




*რუსეთის დუმის გადაწყვეტილებას დუმის შენობასთან შეკრებილი რამდენიმე მოქალაქე ამგვარი ფორმით აპროტესტებდა.*

კანონპროექტი კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის შესახებ კრემლმა დუმის ქვედა პალატაში კვირანახევრის წინ შეიტანა, მაგრამ უკვე სამი დღის შემდეგ ის პირველი მოსმენით მიიღეს. გუშინ კი მეორე მოსმენის ჯერი დადგა, რაც ასევე კანონპროექტის სასარგებლოდ დამთავრდა. დმიტრი მედვედევის წინადადებით, რუსეთის პრეზიდენტი ექვსი წლით, ხოლო პარლამენტი ხუთი წლით უნდა ირჩეოდეს. გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრი ვალდებული იქნება, სახელმწიფო დუმას ყოველწლიურად ჩააბაროს ანგარიში მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის შესახებ, მათ შორის, იმ საკითხებზეც, რომლებსაც დეპუტატები მთავრობის წინაშე დააყენებენ.

როგორც წესი, კანონპროექტების მეორე მოსმენის დროს დეპუტატებს შეუძლიათ შესწორებების შეთავაზება, რომლებიც სხდომის მსვლელობისას იქნება განხილული. თუმცა, ამჯერად დუმის საპროფილო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვლადიმირ პლიგინმა დეპუტატებს აუხსნა, რომ ტრადიციული პროცედურა მიუღებელია.

აღნიშნულმა კომიტეტმა ჯერ კიდევ 17 ნოემბერს ურჩია ქვედა პალატას, რომ პრეზიდენტის წინადადებები ყოველგვარი შესწორებების გარეშე მიეღოთ. ოპოზიციური ფრაქციების დეპუტატებმა, საერთო ჯამში, 8 შესწორება წარმოადგინეს. "კომუნისტ" ვიქტორ ილიუხინს პრეზიდენტად არჩევის უფლების ერთ ვადამდე შემცირება სურდა, ხოლო ფრაქცია "ლდპრ"-ი საპრეზიდენტო უფლებამოსილებების 7 წლამდე გაზრდას და, რატომღაც, ფედერაციის საბჭოს გაუქმებას მოითხოვდა. საპროფილო კომიტეტმა დეპუტატების მიერ წარმოდგენილი ყველა შესწორება უარყო.

თავის შესავალ სიტყვაში საპროფილო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პლიგინმა დეპუტატებს კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღება ისე სთხოვა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი შესწორებების ფორმალურად განხილვაზე სიტყვაც კი არ დაუძრავს. სახელმწიფო დუმის პირველმა ვიცე-სპიკერმა ოლეგ მოროზოვმა, რომელსაც სხდომა მიჰყავდა, პლიგინს მხარი დაუჭირა და განაცხადა: **"ჩავთვალოთ, რომ შესწორებები არც ყოფილა."**

ამან უმცირესობის პროტესტი გამოიწვია. კომუნისტმა ანატოლი ლოკოტმა აღშფოთება ვერ დამალა იმის გამო, რომ მათ შესწორებათა სიები სხდომის დაწყებამდე არ დაურიგეს. **"შესწორებები არც ცხრილებშია წარმოდგენილი და არც ელექტრონული სახით,"** - აღნიშნა მან.

ვიცე-სპიკერმა და ფრაქცია "ლდპრ"-ის ლიდერმა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ კი პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ შესწორებები არათუ არ შეიტანეს კომიტეტის მიერ "დაწუნებულთა" ცხრილებში, როგორც ამას რეგლამენტი ითვალისწინებს, არამედ მათი სრული იგნორირება მოხდა.

**"შეეხნენ წმინდას - კონსტიტუციას და მაშინვე ხმა ჩააკმენდინეს ოპოზიციას,"** - გაჰყვიროდა ჟირინოვსკი.

ამის გამო პლიგინმა აღნიშნა, რომ **"მოცემული კანონპროექტი გახლავთ სპეციფიური ნორმატიული აქტი და არა ჩვეულებრივი ფედერალური კანონი."** საპროფლო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, მოიშველია რა უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 4 მარტის დადგენილება კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის შესახებ და კონსტიტუციის 134-ე მუხლი, განაცხადა, რომ პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი შესწორებები "სპეციფიურ რეგულირებას" საჭიროებს. როგორც არ უნდა იყოს, როდესაც დეპუტატები მათთვის 5 წუთით ადრე დარიგებულ შესწორებებს გაეცნენ და საკითხი იმის შესახებ, ღირდა თუ არა ოპოზიციის წინადადებების ცალკე განხილვა, მაინც კენჭისყრაზე დააყენეს. შედეგად ფრაქცია "ედინაია როსიას" 317-მა დეპუტატმა მიიჩნია, რომ ოპოზიციის წინადადებების ცალკე განხილვა საჭირო არ არის.

ამის შემდეგ დოკუმენტის მიღება უკვე ტექნიკის საქმე იყო. დეპუტატები, ყოველგვარი არსებითი განხილვის გარეშე, პრეზიდენტის კანონპროექტზე კენჭისყრას შეუდგნენ. ოთხიდან სამმა ფრაქციამ პრეზიდენტის სამივე ინიციატივას მხარი დაუჭირა.

პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივებას 351-მა დეპუტატმა მისცა ხმა, 57 წინააღმდეგი წავიდა, ხოლო ცხრამ თავი შეიკავა. სახელმწიფო დუმის უფლებამოსილებების ვადის გახანგრძლივებას 408 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი კი არავინ წასულა. დუმის წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულებას კი სულ 409 დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

საერთო ჯამში, ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს რუსმა დეპუტატებმა 15 წუთში მოუღეს ბოლო.

პარასკევს, 21 ნოემბერს შედგება კანონპროექტის მესამე მოსმენა, რის შემდეგაც ის ფედერაციის საბჭოში შევა, სადაც სენატორების სამმა მეოთხედმა უნდა დაუჭიროს მხარი. აღსანიშნავია, რომ ცალკეულმა რეგიონებმა უკვე წამოაყენეს საპრეზიდენტო ვადის 7 წლამდე გაზრდის ინიციატივა. შესაბამისი შესწორებები კომის და ორენბურგის ოლქებიდან ფედერაციის საბჭოს წარედგინა. თუმცა, საეჭვოა, რომ ამ ეტაპზე მსგავსი ცვლილებების შეტანა შესაძლებელი იყოს. იმისათვის, რომ შესწორებები ძალაში შევიდეს, საჭიროა, მას რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო კრებების ორმა მესამედმა დაუჭიროს მხარი. როგორც მოსალოდნელია, ეს ასეც მოხდება და კონსტიტუციის 15 წლისთავისთვის ქვეყნის ძირითადი კანონი შეცვლილი სახით წარდგება.

# ბარაკ ობამას აფროამერიკელი კადრი

დათო გამისონია

*ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში პირველად გენერალური პროკურორი და იუსტიციის მინისტრი აფროამერიკელი გახდება. აშშ-ს ახალ არჩეული პრეზიდენტის გარდამავალი გუნდის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს განუმარტეს, რომ ეს თანამდებობა ერიკ ჰოლდერს შესთავაზეს. მას ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს იუსტიციის სამინისტროში მაღალი თანამდებობა ეკავა.*



*ერიკ ჰოლდერი*

გავლენიანი ამერიკული გამოცემა «ნიუ-იორკ თაიმსის» ინფორმაციით, ერიკ ჰოლდერს ამ პოსტზე დიდი ხანია მოიაზრებენ. ჰოლდერმა ბარაკ ობამა 2004 წელს გაიცნო და მათ, როგორ იურისტებმა, ადვილად გამონახეს საერთო ენა. ერიკ ჰოლდერი მალევე დაინიშნა ილინოისელი სენატორის მრჩევლად. როდესაც ჰოლდერის მომავალმა ხელმძღვანელმა თავისი საპრეზიდენტო კანდიდატურა წამოაყენა, ვაშინგტონელი იურისტი მისი ერთ-ერთი უახლოესი დამხმარე გახდა.

ობამას გარემოცვაში აცხადებენ, რომ ჰოლდერის დანიშვნაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. თუმცა, გენპროკურორობის კანდიდატის სასარგებლოდ მისი შთამბეჭდავი სამსახურებრივი ბიოგრაფია მეტყველებს. ერიკ ჰოლდერი ვაშინგტონში სახელმწიფო ბრალმდებლად, ასევე მოსამართლედ მუშაობდა. გარდა ამისა, საუბრობენ ჰოლდერისა და თეთრი სახლის აპარატის მომავალი ხელმძღვანელის რამ ემანუელელის მეგობრულ ურთიერთობებზე.

«შავკანიანი თეთრ სახლში» - ამ სახელწოდებით ფრედერიკ მორუს მემუარები 60-იან წლებში გამოიცა. მორუ პირველი იყო იმ აფროამერიკელთა შორის, ვინც აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა. ის 1960 წელს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თავის მრჩევლად აიყვანა. მორუ მემუარებში ვრცლად აღწერს იმ გაუცხოებას, რასაც მაშინ ამერიკის უმაღლესი პოლიტიკური ელიტისგან გრძნობდა. მას თეთრკანიან ქალბატონებთან მარტო დარჩენის უფლებასაც კი არ აძლევდნენ. სწორედ 60-იანი წლების დასაწყისში პენსილვანიის შტატში დაიბადა ბარაკ ობამა, რომელიც წლების შემდეგ შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა.

რაც შეეხება ერიკ ჰოლდერს, ის კაბინეტის ერთადერთი აფროამერიკელი წევრი იქნება.

ნიშანდობლივია, რომ ბარაკ ობამას კაბინეტი და აპარატი ძირითადად დაკომპლექტებულია იმ ადამიანებით, რომლებიც ყოფილი პრეზიდენტის, «დემოკრატ» ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში მუშაობდნენ. ნაციონალური ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარედ ინიშნება ჯეკობ ლიუ, მას კლინტონის პრეზიდენტობის დროს ფინანსური მართვის ხელმძღვანელის პოსტი ეკავა. ხოლო ლიუს ყოფილ თანამდებობაზე წარდგენილია ასევე კლინტონის სპეციალური თანაშემწე ეკონომიკურ საკითხებში პიტერ ორსაგი.

# რევიუ

## მიკი მაუსი 80 წლისაა

უოლტ დისნეის ყველაზე ცნობილ გმირს - მიკი მაუსს, 80 წელი შეუსრულდა. წითელ შარვალსა და ყვითელ ჩექმებში გამოწყობილი პატარა თაგვი, ტელეეკრანებზე პირველად 1928 წელს მულტფილმში „ვილის შესასვლელი“ გამოჩნდა. მოკლე ხანში იგი ამერიკული კულტურის ერთ-ერთ ყველაზე ცნობად გმირად და მილიარდობით კომიქსთა იმპერიის, სატელევიზიო გადაცემებისა და გასართობი პარკების მთავარ პერსონაჟად იქცა. 2003 წელს მიკი მაუსმა გამოგონილ პერსონაჟთა სიაში პირველი ადგილი დაიკავა, რომლებიც ყველაზე მეტს „გამოიმუშავებდნენ“. ჟურნალ Forbes-ის გამოკვლევით, ერთი წლის განმავლობაში ცნობილმა თაგუნიამ, კომპანია Walt Disney-ის 5,8 მილიონი დოლარი მოუტანა. ასევე 2003 წელს, როცა მიკი მაუსს 75 წელი შეუსრულდა, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ საავტორო უფლებებით მოქმედება კომპანიას, კიდევ 20 წლით გაუგრძელა.



კომპანია Walt Disney-ი აქტიურად ცდილობდა საავტორო უფლებების გახანგრძლივებას, რადგან არ სურდა, რომ მიკი მაუსის გამოგონება და სხვა ცნობილი პერსონაჟები საერთო საკუთრებად ქცეულიყო. 1998 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად, ნაწარმოების თუ გამოგონების შექმნის მომენტიდან, კორპორაციული საავტორო უფლება 95 წლის განმავლობაში მოქმედებს, ხოლო ინდივიდუალური საავტორო უფლება მათი გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში ინახება. ამ კანონისა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების წყალობით, გამოგონება - მიკი მაუსი Walt Disney-ის საკუთრებაში 2023 წლამდე დარჩება. სასამართლო განხილვების დროს საავტორო უფლებების საერთო საკუთრებაში გადასვლის მომხრეები აქტიურად ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ საავტორო უფლებების გახანგრძლივება კულტურისა და მეცნიერების განვითარებას ხელს უშლის. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბევრ მეცნიერს, მხატვარს, მწერალსა და მუსიკოსს არ შეუძლიათ გამოიყენონ უკვე შექმნილი ნამუშევრები ახლის შესაქმნელად, ამის გამო, მათ საავტორო უფლებების მესაკუთრეებისთვის მსხვილი თანხების გადახდა უწევთ. მათი აზრით, ეს ფაქტი, ინტერნეტში ელექტრონული ბიბლიოთეკების შექმნასაც საგრძნობლად აფერხებს.

სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ლოურენს ლესიგმა, რომელიც საავტორო უფლებების გახანგრძლივების წინააღმდეგ გამოდიოდა, აღნიშნა, რომ მულტფილმი „ვილის შესასვლელი“, სადაც მიკი მაუსი პირველად იქნა „გადაღებული“, მოკლემეტრაჟიანი ფილმის „ბილის შესასვლელი“ მოტივებზეა შექმნილი, რომელშიც ბასტერ კიტონი მონაწილეობს.

საბოლოოდ, პატარა თაგვი არა მარტო საავტორო უფლებების შესახებ მიღებული კანონით სარგებლობს, არამედ მიკი მაუსი Walt Disney-ის სავაჭრო ნიშანსაც წარმოადგენს, ხოლო სავაჭრო ნიშნები დაცულნი არიან მანამ, სანამ კომპანიაში კომერციული აუცილებლობისთვის გამოიყენებიან.





ეიჩ ეს ბი სი ბანკი უკვე საქართველოშია

მომსახურების არეალი
10,000-მდე ოფისი 85 ქვეყანაში

მომხმარებელი
128 მილიონზე მეტი

ჯგუფის აქტივები
2,354 მილიარდი აშშ დოლარი

მის.: რუსთაველის გამზ. 15 ტელ.: 17 77 77

www.hsbc.ge

HSBC
თქვენი ბანკი მთელ მსოფლიოში

გამოშვებულია სს ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველოს მიერ

# გახდი მილიონერი თიბისი ბანკთან ერთად!

მათ ერთი რამ აერთიანებთ - ისინი თიბისი ბანკის ანაბრების აქციის გამარჯვებულები არიან. ყველა გამარჯვებულს ერთი ისტორია აქვს: არცერთს აქამდე არაფერი მოუგია და ახლაც არ სჯეროდათ, რომ მოიგებდნენ... ცნობილი მსახიობის ნაცნობი ხმის გაგონება მობილურ ტელეფონში ყველასთვის მოულოდნელი იყო. ჯახი ჯავსაძის ფრაზა "თქვენ მოიგეთ" თითოეული მათგანისთვის ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისი გახდა...

## "გვინდა, იღბალმა სხვასაც გაუღიმოს"



*გოგი ჭიჭინაძე, თბილისი*

ცნობილი ქართველი დირიჟორის, გოგი ჭიჭინაძის ოჯახში 2008 წლის მარტის თვემდე არაფერი მოეგოთ. კარგად ახსოვს, საბჭოთა ეპოქაში ე.წ. ობლიგაციების გათამაშებისას, ობლიგაციის მქონე თითქმის ყველა საბჭოთა მოქალაქე ერთ მანეთს მაინც რომ აუცილებლად იგებდა. თუმცა, მათ ოჯახს თავის დროზე არც ეს მანეთი მოუგია.

როცა გოგის დედამ, ქალბატონმა ბარბალე მიქელაძემ წლის დასაწყისში თიბისი ბანკში ანაბარი შეიტანა, ბანკის ოპერატორმა ანაბრების გათამაშებაში მონაწილეობა შესთავაზა, უარის თქმა მოერიდა და დათანხმდა. სახლში დაბრუნებულმა შვილს უთხრა, რომ რაღაც გათამაშებაში იღებდა მონაწილეობას, ორივეს გაეცინა და ეს ამბავიც დავიწყებას მიეცა.

ის, რომ გათამაშების პირველი გამარჯვებულები იყვნენ, ქალბატონმა ბარბალემ სახლში, ხოლო გოგიმ სუფრასთან შეიტყო, სადაც თამადა იყო. ყველაფერი იმდენად დაუჯერებელი ჩანდა, რომ ქალბატონ ბარბალეს ბატონი ჯახის ხმის გაგონებისას, ემოციის გამოხატვა გაუჭირდა. მოგვიანებით ამის გამო მოუბოდიშა კიდეც.

2008 წლის "ჰიუნდაი ელანტრა" მათი ოჯახისათვის ის საჩუქარი აღმოჩნდა, რომელმაც ერთდროულად რამდენიმე სურვილი აუსრულა ოჯახს. ახალი "ჰიუნდაი ელანტრას" გაყიდვის შემდეგ ოჯახს მანქანის ყიდვის, სახლში კი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საშუალება მიეცა... მილიონზე არ ოცნებობენ, ამბობენ, რომ იღბალმა ახლა სხვას უნდა გაუღიმოს...

## "გათამაშებაში მონაწილეობა პირველად მივიღე!"



*თამაზ კეკუშაძე, ქუთაისი*

51 წლის თამაზ კეკუშაძე უკვე რვა წელია, თიბისი ბანკის კლიენტია. წლის დასაწყისში, სტუდენტი შვილების სახელზე, ბანკის ქუთაისის ფილიალში ანაბარი შეიტანა. ასე ჩაერთო ანაბრების აქციის გათამაშებაში. პროფესიით ექიმი ამბობს, რომ აზარტული არ არის და აქამდე გათამაშებებში მონაწილეობა არასდროს მიუღია.

როდესაც ტელეფონში ჯახი ჯავსაძის ხმა გაიგონა, არ დაიჯერა. იფიქრა, რომ ვიღაც გაეხუმრა. თუმცა, დღეს უკვე იცის, რომ ეს ხუმრობა კი არა, რეალობა იყო. 1997 წლის გამოშვება "აუდის" შემდეგ, 2008 წლის "ჰიუნდაი ელანტრა" მისი და მისი სტუდენტი ვაჟებისთვის ნამდვილი სასწაული და საუკეთესო სააღდგომო საჩუქარი აღმოჩნდა.

## "გადავწყვიტე, მანქანის ტარება თავად ვისწავლო!"



*სანიე თებიძე, ბაკურიანი*

სანიე თებიძეს მოგებული მანქანა არავისთვის ემეტება. ბაკურიანში მცხოვრები სამი შვილის დედა მანქანის ტარებას ახლა თავად სწავლობს. 42 წლის ქალბატონისათვის ეს პირველი მოგება იყო.

დანაზოგი თიბისი ბანკის ბორჯომის ფილიალში შეიტანა და ყველაფერი სწორედ აქედან დაიწყო. ბანკის ოპერატორმა ანაბრების აქციის გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შესთავაზა. 31 მაისს კი დაურეკეს.

სხვა გამარჯვებულების მსგავსად, მასაც გაუჭირდა დაჯერება, რომ ახალი "ჰიუნდაი ელანტრა" მას ეკუთვნოდა. როდესაც "ჰიუნდაის" ცენტრში მანქანაში ჩაჯდა, ემოციის დამალვა არც უცდია... განსაკუთრებულად ითხოვა თიბისი ბანკის ბორჯომის ფილიალის ხელმძღვანელისა და თანამშრომლებისათვის მადლობის გადახდა...

## "კახი კავსაძე ხმაზე ვიცანი"

ივნისის თვის გათამაშების გამარჯვებული, 63 წლის ნუგზარ ანელი პროფესიით ფიზიკოსია.

თიბისი ბანკის ანაბრების გათამაშებას ტელევიზორში ყოველთვის უყურებდა, თუმცა, სწორედ იმ დღეს გადაცემისთვის ვერ მოიცალა. კახი კავსაძე ხმაზე იცნო, სიხარულით და გაოცებით გამოწვეული ემოცია იმდენად ძლიერი იყო, რომ სიტყვებით მისი გადმოცემა ახლაც უჭირს.

კახი კავსაძის შემდეგ მის მობილურ ტელეფონზე სრულიად უცხო ადამიანები რეკავდნენ და ეკითხებოდნენ - ნამდვილად მოიგო, თუ არა.

გათამაშებების არასდროს სჯეროდა, ამიტომ ამ ადამიანებისაც კარგად ესმოდა. თუმცა, ახლა უკვე სხვებს არწმუნებს, რომ ეს ნამდვილი გათამაშებაა და მანქანაც უკვე მას ეკუთვნის.

## "ახალ მანქანაზე ვერც კი ვიოცნებებდი. . . "



*გია მუხაშავრია, თბილისი*

ცნობილი ექიმი გია მუხაშავრია ამბობს, რომ ახალ მანქანაზე ვერც კი იოცნებებდა... მისი ამბავიც სხვებისას ჰგავს. თიბისი ბანკში მისულს ოპერატორმა ანაბრების გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შესთავაზა, დათანხმდა, თუმცა, ბანკიდან გამოსვლის შემდეგ ეს აქცია აღარც გახსენებია.

გამარჯვება სოფელ ახატანში შეიტყო, სადაც უფროსი შვილის დაბადების დღეს ზეიმობდნენ. კახი კავსაძის ხმის გაგონების შემდეგ მისი პროფესიისთვის დამახასიათებელმა ფიქრმა გაუელვა თავში - ალბათ სასწრაფოდ ექიმი დასჭირდათ. იმის ახსნა დაიწყო, რომ თბილისში არ იმყოფება, ნასვამია და საჭესთან ვერ დაჯდებოდა.

ბატონ კახისთან საუბარი ისე დაასრულა, რომ მანქანის მოგება ბოლომდე არ სჯეროდა. გამარჯვება მხოლოდ მაშინ დაიჯერა, როდესაც, მისივე თხოვნით, მისი მეზობელი კახი კავსაძის ქალიშვილს დაუკავშირდა და აღმოჩნდა, რომ 1 საათის წინ ნამდვილად კახის დაურეკავს ახატანში მყოფი იღბლიანი მეანაბრისთვის...

## "იმ დღეს ფორტეპიანო გავაჩუქეთ...და სიკეთე სიკეთით დაგვიბრუნდა!"



*ზურაბ ავაზაშვილი თბილისი*

ავაზაშვილების ოთხშვილიან ოჯახში ახლა უკვე მილიონის მოგების იმედიც აქვთ.

გამარჯვების შესახებ ყვარელში შეიტყვეს. იმ დღეს ოჯახის დიასახლისმა შვილებს განსაკუთრებულად სთხოვა, ტელევიზორში გათამაშების ყურების საშუალება მიეცათ.

ამბის მოყოლას უკვე 11 წლის ქეთი განაგრძობს: "როცა ტელეფონზე დაირეკა, არავის გვჯეროდა, რომ მოვიგეთ... რამდენიმე წამში მთელი უბანი ჩვენს თავს იყო".

საინტერესო დეტალი: მანქანის მოგებას წინ ფორტეპიანოს გაჩუქება უძღოდა. მოგების შემდეგ კი ოჯახის უფროსმა ძველი მანქანა ძმას აჩუქა.

ბავშვებს ახლა უკვე დანამდვილებით სჯერათ, რომ სიკეთე სიკეთითვე დაუბრუნდებათ...

## "აი, ეს იყო ნამდვილი, რეალური გათამაშება!"

ახმეტის მკვიდრი, პროფესიით ავტო-ინჟინერი თემურ ჯუგაშვილი სხვების მსგავსად ამბობს, რომ აქამდე არაფერი მოუგია და თიბისი ბანკის გათამაშებაში პირველად გაუღიმა ფორტუნამ.

26 ოქტომბერს, როდესაც მოგების შესახებ შეიტყო და პირველი ემოციები ჩაცხრა, გადაწყვიტა, მანქანა გაეყიდა. თუმცა, "ჰიუნდაის" ცენტრში მისულმა გადაწყვეტილება შეცვალა. მანქანა იმდენად მოეწონა, რომ მისი გაყიდვა გადაიფიქრა.

ამბობს, რომ ეს "ნამდვილი, რეალური" გათამაშება იყო...

ისინი თიბისი ბანკის ანაბრების აქციის გამარჯვებულები არიან. შანსი, რომ ერთ-ერთი გამარჯვებული სწორედ თქვენ შეიძლება იყოთ, ისევე არსებობს, როგორც მთელი წლის განმავლობაში მათთვის არსებობდა. დაიჯერეთ, რომ ეს რეალურია და მათსავით თქვენც ანდეთ თიბისი ბანკს თქვენი დანაზოგი. თქვენს გვერდით თქვენი ბანკი და იღბალი ერთად იქნება. წარმატებებს გისურვებთ!

თიბისი ბანკი
TBC BANK
27 27 27 | www.tbcbank.ge
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

# ალუბლობის მოლოდინში

## მოზარდებისთვის განკუთვნილი ლიტერატურული კონკურსი დაიწყო

ია ვეკუა

ვისაც კალამი ერჩის, თავი საინტერესო იდეებით აქვს სავსე და გარკვეულ ასაკობრივ კატეგორიასაც მიეკუთვნება, მაშინ შეუძლია თავისი სამწერლო ნიჭი ლიტერატურულ კონკურს „ალუბლობაში“ მოსინჯოს. კონკურსი წელს მეოთხედ ტარდება და პოპულარობით ძირითადად იმ დამწყებ მწერლებს შორის სარგებლობს, ვისაც ჯერ არ ან ვერ გაუბედავს საკუთარი ნამუშევრების გაცილებით სერიოზულ კონკურსზე წარდგენა. „ალუბლობაზე“ განაცხადების მიღება უკვე დაწყებულია, სხვადასხვა ნომინაციის საუკეთესო ნაწარმოებებს კი მომავალი წლის გაზაფხულზე გამოავლენენ.

შემოდგომა ლიტერატურული კონკურსების მხრივ ისეთივე უხვმოსავლიანია, როგორც თავად წელიწადის ეს დრო. უკვე გადამწყვეტ ფაზაშია შესული ფარმაცევტულ კომპანია „ჯიპისისა“ და პორტალ literatura.ge-ს „წერო“. ამ კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოვების ცერემონიალი 28 ნოემბერს გორის თეატრის დარბაზშია დაგეგმილი, საკონკურსო მოთხრობების ხილვა და შეფასება კი დასახელებულ საიტზე შეგიძლიათ.




რაც შეეხება „ალუბლობას“, იგი კავშირ „ახალი ხელოვნების“ ორგანიზატორობით ტარდება. პროზისა და პოეზიის კონკურსი კონკრეტულ აუდიტორიაზეა გათვლილი, ამიტომ მას ერთი მკაცრად განსაზღვრული წესი აქვს - მასში მონაწილეობა მხოლოდ 15-დან 21 წლამდე მსურველებს შეუძლიათ. ნაწარმოებები (მოთხრობა, ლექსი, მინიატურა, ზღაპარი ან ნოველა) ცხადია ქართულ ენაზე უნდა იყოს დაწერილი. თვითოეულ მონაწილეს ნებისმიერი რაოდენობის ნაწარმოების გაგზავნა შეუძლია, რომლებიც მანამდე არც ერთ ბეჭდურ თუ ელექტრონულ გამოცემაში არ უნდა იყოს გამოქვეყნებული. შეუზღუდავია ჟანრიც - ნაწარმოები შეიძლება იუმორისტული ხასიათის იყოს, ფანტასტიკის ჟანრს განეკუთვნებოდეს, სასიყვარულო სამკუთხედებით იყოს დახუნძლული ან სულაც კრიმინალური დანაშაულის გამოძიების მომსწრე გაგვხადოს.

კონკურსი, რომელსაც ანონიმური ჟიური ჰყავს, ორ ეტაპად ჩატარდება. პირველ ეტაპზე რამდენიმე საუკეთესო ნაწარმოებს გადაარჩევენ, შემდეგი ეტაპი კი ფინალისტების გადახარისხებას დაეთმობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ კონკურსს ორი ჟიური ჰყავს - ე.წ. გადამრჩევი კომისია და ფინალის ჟიური. ამრიგად მთავარ ჟიურის საშუალო ნაწარმოებების კითხვით გონება გადაღლილი არ ექნება და უფრო რეალურად შეაფასებს ფინალისთვის გადადებულ რჩეულ ნაწარმოებებს.

ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: როგორც კონკურსის ოფიციალური ვებ გვერდზე იუწყებიან, კონკურსის მსვლელობისას საინიციატივო ჯგუფი კატეგორიულად აცხადებს უარს კონკურსანტებთან და მათ ნათესავ-მეგობრებთან პირად კონტაქტზე. როგორც ჩანს „ალუბლობას“ ამ მხრივ საკმაოდ მწარე გამოცდილება აქვს, რაც ჩვენი რეალობისთვის ცხადია გასაკვირი სულაც არაა.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის დაჯილდოვების ცერემონიალის კონკრეტული თარიღი, თუმცა იქამდე ჯერ შორია, საკონკურსო ნაწარმოებების მიღება კი მიმდინარე წლის 29 დეკემბერს შეწყდება. აქვე დავამატებთ, რომ ნაწარმოებების მიტანა უკვე შეგიძლიათ „ელიტ ელექტრონიქსისა“ და „ელიტელის“ ნებისმიერ ქალაქში არსებულ ფილიალში, ასევე წიგნის მაღაზიებში: „პარნასი“ „წიგნის სახლი“ და „სანტა ესპერანსა“. ნაწარმოების გაგზავნა ელექტრონული ფოსტითაც შესაძლებელია - მისამართი: info@alubloba.org.ge ან alubloba@gmail.com.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ალუბლობა“ წელს მეოთხედ ტარდება. კონკურსი პირველივე წელს იქცა ინტერნაციონალურად. მონაწილეობას იღებდნენ არა მხოლოდ სხვა ქვეყნებში (გერმანიაში, საბერძნეთში, თურქეთში, ისრაელში, აზერბაიჯანში) მცხოვრები ქართველი მოზარდები, არამედ აზერბაიჯანელი, სომეხი, ოსი და რუსი კონკურსანტებიც. ყველაზე მეტი - 2000-მდე ნაწარმოები „ალუბლობზე“ შარშან შევიდა, ხოლო დასკვნით ეტაპზე გასული 250 კონკურსანტისთვის პროზასა და პოეზიაში მასტერკლასები ჩატარდა. ეს წელი მნიშვნელოვან იყო იმ მხრივაც, რომ მასში არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების მსჯავრდებულიც მონაწილეობდა, რომელმაც საუკეთესო დებიუტანტის პრიზი დაიმსახურა. კონკურსის დაჯილდოვების ცერემონიალისას კი 2005-2006-2007 წლების „ალუბლობის“ საუკეთესო ნაწარმოებების კრებულის პრეზენტაცია გაიმართა.

# ფილმწარმოება საქართველოში

## ეროვნული კინოცენტრის დასრულებული და მიმდინარე პროექტების შესახებ

ბელა ჩეკურიშვილი

ფილმები, რომლებიც საქართველოს ეროვნული კინოცენტრის თანადაფინანსებით იქმნება, იმის შესაბამისია რა თანხაც მათ წარმოებაზეა დახარჯული - გულისტკივილით აღნიშნავენ სპეციალისტები და თავს იმით ინუგეშებენ, რომ წელს ფილმწარმოების ბიუჯეტმა მილიონ 190 ათასს ლარს მიაღწია, ხოლო მომავალი წლისთვის ამ თანხის გაორმაგებას ელიან. ჯერჯერობით კი მიმდინარე წელს გამოცხადებულ კონკურსზე 900 ათასი ლარია გამოყოფილი, რითაც 3 პროექტი უნდა დაფინანსდეს.

კინოწარმოება ძვირადღირებული საქმეა და ფილმს თავისი ბიუჯეტი მუდამ ეტყობა. კინოცენტრი კონკურსზე გამარჯვებულ ფილმებს 75% -მდე აფინანსებს, დანარჩენის მოპოვება კი პროდიუსრებმა უნდა შეძლონ. თუმცა კი, არსებობის 7 წლის მანძილზე მაღალბიუჯეტიანი პროექტები კინოცენტრში არც შესულა. კინოცენტრის ფილმწარმოების ფინანსისტის მანანა მელაძის თქმით საქართველოში სრულმეტრაჟიანი ფილმის გადასაღებად 1 მილიონია საჭირო, რაც კინოცენტრის ბიუჯეტით ყოვლად წარმოუდგენელია.

რაც შეეხება თვითონ ფილმებს, საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა 2001 წლიდან დღემდე 63 ფილმის პროქტის თანადაფინანსება განახორციელა. აქ შედის როგორც სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები, ასევე მოკლე, დოკუმენტური და ანიმაცია. ამ ფილმების ხარისხის შეფასებისას ალბათ უნდა გავითვალისწინოთ მათი მონაწილეობა საერთაშორისო ფესტივალებზე, მიღებული პრიზები და რასაკვირველია ქართველი მაყურებლის რეაქცია, რაც წესით კინოგაქირავებით უნდა განისაზღვროს, თუმცა კი, საქართველოში ესეც ცოტა სხვაგვარად ხდება.

ფესტივალებზე გამარჯვება მოგეხსენებათ არც ისე იოლია, თანაც იმ პროდუქციით, რომელსაც ბიუჯეტი დაღად აზის. თუმცა კი, კინოცენტრის თანადაფინანსებით წარმოებულმა რამდენიმე ფილმმა ეს წარმატება მაინც მოიპოვა. ასეთია ლევან ზაქარეიშვილის "თბილისი, თბილისი", რომელმაც პრიზები დაიმსახურა ისრაელის აშდოდის საერთაშორისო ფესტივალზე საუკეთესო მხატვრული ფილმისა და საუკეთესო რეჟისურისათვის, გერმანიაში "ოქროს შროშანი" მოიპოვა, რუსეთში - კინოაკადემიის პრემია "ნიკა", ხოლო მონპელიეში ფესტივალის პრიზით მისი მუსიკა აღინიშნა. "თბილისი თბილისი" 3 პრიზით აღინიშნა ანაპის ფესტივალზე კინოშოკი", მათ შორის მსახიობი ბაადურ წულაძე მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისათვის დაჯილდოვდა. კინოცენტრის წარმატებული პროექტი იყო გიორგი ოვაშვილის მოკლე ფილმი მზერის დონიდან", რომელმაც "ბერლინალეს» ჯილდო მოიპოვა.

უცხოელი ექსპერტები ქართველ კონემატოგრაფისტებს მუდამ იმას ჩასჩიჩინებენ, რომ ჯერ საკუთარი ბაზრის დაინტერესება უნდა შეძლონ და მერე იფიქრონ გარე გაყიდვებზე. ამ დებულების პარადოქსად შეიძლება სოსო ჯაჭვლიანის ფილმი "სვანი" დასახელდეს, რომელმაც კრიტიკის ნიაღვარი დაიმსახურა ქართველი კინოშემფასებლების თუ მაყურებლისაგან, მაგრამ მისი შინაარსი იმდენად ეგზოტიკური აღმოჩნდა უცხოელებისათვის, რომ უამრავ საერთაშორისო ფესტივალსა და კინობაზრობაზე მიიღო მონაწილეობა და წარმოიდგინეთ, წარმატებითაც კი.

წელს კინოცენტრის მხარდაჭერით რამდენიმე სრულმეტრაჟიანი ფილმი დასრულდა. ესენია ზაზა ურუშაძის "სამი სახლი", (რომლის პრემიერაც უკვე შედგა), დათო ჯანელიძის "ჯაყოს ხიზნები", გიორგი ოვაშვილის "გაღმა ნაპირი" და დიტო ცინცაძის "მედიატორი", რომელიც 2009 წლის "ოსკარის» ნომინანტთა შესარჩევთა შორისაა წარდგენილი უცხოური ფილმების განყოფილებაში. ფილმის პრემიერა კი თბილისში 21 ნოემბერს გაიმართება.

რამდენად წარმატებული იქნება აღნიშნული ფილმები, ამას წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს, თუმცა კი, მათ უკან საინტერესო რეჟისორთა გვარები დგას.

რასაკვირველია, კინოცენტრმა მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმების პროექტზე კონკურსები წელსაც ჩაატარა. მომავალი წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება ალეკო ცაბაძის "რენე მიდის ჰოლივუდში", რომლის პროდიუსერია სტუდია "რემკა", გიორგი მასხარაშვილის "მესაათე", სანგუკოს პროდუქცია და ირაკლი შავლიაშვილის "კინოკოკაინი", რომლის მწარმოებელი იქნება ნანა ჯორჯაძის სტუდია "99".

რა თქმა უნდა, ნებისმიერი კონკურსი სუბიექტურია, და ვერ ვიტყვით თუ რატომ მიანიჭა ჟიურიმ უპირატესობა ამ პროქტებს, ანდა რის მიხედვით შეირჩა პროექტები გასულ წლებში, მაგრამ ვისაც ცაბაძის "გრაფიტი" აქვს ნანახი და შავლიაშვილის "მონეტა", შეიძლება იმედი იქონიოს, რომ ეს რეჟისორები ამჯერადაც რაიმე საინტერესოს შემოგვთავაზებენ.

წლევანდელი ბიუჯეტიდან დაფინანსდა ლევან კოღუაშვილის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი "ჩეკი", რომლის პრემიერაც 2009 წლის ბოლოს შედგება. ერთი თვის წინ კი ჩვენმა მაყურებელმა უკვე იხილა ლევან კოღუაშვილის დოკუმენტური ფილმი "ქალები საქართველოდან", რომელიც ასევე კინოცენტრის პროექტს წარმოადგენს და ამერიკაში არალეგალურად მომუშავე ქალების შესახებ მოგვითხრობს.

მომავალი წლისათვისაა დაგეგმილი ასევე გიორგი ჩალაურის "სუსა", რომელიც მცირებიუჯეტიანი პროექტია და ახალგაზრდა რეჟისორის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმი იქნება.

მომავალ წელს დაასრულებს გიო მგელაძე ფილმს "ფიდაი ანუ ამინა 3-დან 5-მდე". ფილმი თეონა დოლენჯაშვილის მოთხრობის მიხედვითაა გადაღებული და მასში ახალგაზრდა მუსლიმი ტერორისტი ქალის ბოლო დღეა აღწერილი.

რაც შეეხება დოკუმენტურ ფილმებს, წლევანდელ კონკურსზე 4 პროექტია გამარჯვებული: სალომე ჯაშისა და ვანო არსენიშვილის "დემოკრატიის 10 წელი", რომლის პროდიუსერია "საქდოკფილმი", ზურაბ ინაშვილის "ქალების რევოლუცია საქართველოში"- პროდიუსერი ქალთა საკონსულტაციო ცენტრი "სახლი", თემურ ცავას "ფალავანი", საქართველო-ლატვიის ერთობლივი კოპროდუქცია და ნიკო წულაძის "სინანულის სანაპირო", რომელიც იმ აფხაზების შესახებ მოგვითხრობს, საუკუნის წინ რომ გადასახლდნენ თურქეთში. აღნიშნული ფილმები დეკემბერის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

როგორც კონოცენტრში გვითხრეს, ქართველი რეჟისორების ახალი პროექტები მეტ-ნაკლებად საქართველოში მომდინარე მოვლენებს ეხმიანება და პოლიტიკური ხაზი გასდევს, მაგრამ კვლავ ჯიუტ ფაქტად რჩება ის, რომ დღეს ქართულ კინემატოგრაფში სცენარის და სცენარისტების პრობლემა დგას და თანაც მწვავედ.

გასულ თვეს კინოცენტრმა კიდევ ერთი კონკურსი გამოაცხადა აგვისტოში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე საომარ მოვლენებთან დაკავშირებით კინოპროექტების შესაქმნელად. ეს იყო კონკურსი პროექტის განვითარებზე და არა ფილმწარმოებაზე. რაც გულისხმობს ერთიანი პაკეტის შექმნას სინოფსისით, თრითმენტით, სცენარითა და ბიუჯეტით, რომლის წარდგენა შესაძლებელი იქნება ნებისმიერ კინოფონდში, მათ შორის ეროვნული კინოცენტრის კონკურსებზეც. როგორც გვითხრეს, 4 გამარჯვებული პროექტი გამოვლინდა, რომელთა საერთო ბიუჯეტი 25 ათასი ლარია.

თვითონ აგვისტოს მოვლენებიდან გამომდინარე კრიზისი კი კინოცენტრის ფილმწარმოების წლევანდელ ბიუჯეტს არ შეხებია, ერთი იმიტომ რომ ძირითადი ნაწილი უკვე ათვისებული იყო და მთავრობამ რატომღაც კინოს მიმართ ამჯერად კეთილი ნება გამოიჩინა.

ხოლო რაც შეეხება რამდენიმე ანიმაციურ პროექტს, რომელიც კონოცენტრის თანადაფინანსებით განხორციელდა და მათ ჩამოსათვლელად ცალი ხელის თითებიც საკმარისია, ასევე ანიმაციური პროექტების წლევანდელ კონკურსზე და ზოგადად ქართული ანიმაციის მდგომარეობაზე, უკვე შემდეგ სტატიაში მოგახსენებთ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის" დაფინანსების ფარგლებში აცხადებს ტენდერს სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს**

**შესყიდვის ობიექტი:** სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის" შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები

**დაფინანსების წყარო** – „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა".

**შენიშვნა:**

აღნიშნულ ობიექტებზე განსახორციელებელი სარემონტო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია და დეფექტური აქტი პრეტენდენტებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

**სამუშაოს დასრულების ვადები:** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 9 (ცხრა) თვის ვადაში.

- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიები. გარანტიების პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში;

– სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, განცხადების გამოქვეყნებიდან **9 დეკემბრამდე,** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52 ოთახი №126, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

– დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე:

**მიმღები** – ერთიანი ანგარიში

**მიმღები ბანკი** – სახელმწიფო ხაზინა

**ბანკის კოდი** – 220101222

**საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო** კოდი – 302003174

**ა/ა № 200122900**

დამატებით ინფორმაციაში მიუთითეთ: სატენდერო მოსაკრებელი, სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის" შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ტენდერი **№29** სახაზინო კოდი: 1649 (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო)

– დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2008 წლის 10 დეკემბერს 14$^{00}$ საათამდე,** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52 ოთახი №126 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება **2008 წლის 11 დეკემბერს** სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, 14:00 საათზე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52 II სართულზე ოთახი №214.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა **(ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე **(ცნობა სასამართლოდან);**

გ) ორგანიზაციის მოგების და ქონების წლიური დეკლარაციები **(ბოლო 2 წლის).**

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

**ფიზიკური პირისათვის:**

- საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია **(ბოლო 2 წლის);**

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რევიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების შესახებ.

– სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ 30 დღე. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მ. ფალიაშვილი, ნ. ბოჭორიშვილი, ლ. გვაზავა, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.№52 ტ. 43 88 24 ოთახი №126, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

დ) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ პირს, ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები არანაკლებ 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის ოდენობით საერთო ღირებულებით.

**შენიშვნა:** ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად, თანდართული უნდა იყოს ცხრილში აღნიშნული ხელშეკრულების ასლები.

| № | შესრულებული სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის მითითებით) | შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება | ხელშეკრულების, თარიღი, № და ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| და ა. შ. | | | |

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება, და ა.შ.) მანქანა–მექანიზმები, მოწყობილობები და დანადგარები.

**შენიშვნა:** ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად, თანდართული ასლებითურთ.

| № | მანქანა-მექანიზმებისა და დანადგარების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და გამოშვების წელი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა, ტექნიკური პასპორტის ასლი, იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| და ა. შ. | | | | | |

# სპორტი

## ფრთხილად, სოჭი-2014 ფეთქებადსაშიშია!

გიგა გურასაშვილი

*სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშები აფხაზეთის ფაქტორის გათვალისწინებით, რომელიც დაუფარავად სარგებლობს რუსეთის მხარდაჭერით (ეს კიდევ რბილი ნათქვამია), ჩვენს სასარგებლოდაა შესაფუთი. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ-ი) სათავეში მოსვლისას გია ნაცვლიშვილმა საკუთარ პროგრამაში ერთ-ერთ უმთვარეს საკითხად სწორედ სოჭის ოლიმპიურ თამაშებისადმი ქართული მხარის დამოკიდებულება შეიტანა. დამოკიდებულება კი ასეთია, თუ რუსული არმია არ დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, სოჭს უნდა ჩამოერთვას თამაშების მასპინძლობის უფლება. გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ხელმძღვანელის რანგში პირველად უმასპინძლა მასმედიის წარმომადგენლებს. შეხვედრის უმთავრესი მიზანი სოჭი-2014 გახლდათ.*



*თავის დროზე ვლადიმირ პუტინი სოჭის პოპულარიზაციას კრასნაია პალიანას სათხილამურო ტრასიდან შეუდგა*

გუშინდელი შეხვედრის კატალიზატორი ისიც გახლდათ, რომ სეოკ-ის ხელმძღვანელობა სტამბოლის ევროპის ოლიმპიური კომიტეტების 37-ე გენერალურ ასამბლეაზე გასამგზავრებლად ემზადებოდა. გენერალურ ასამბლეაზე შეხვედრა საქართველოს მხარისთვის იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მასში ერთ-ერთ განსახილველ საკითხად სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშებია შეტანილი. ანუ ის თუ როგორ მიმდინარეობს 2014 წლის თამშებისთვის მზადება და რა პრობლემები აქვთ მომავალ მასპინძლებს. გია ნაცვლიშვილის თქმით პრობლემები მართლაც არსებობს. აგვისტოს მოვლენებმა აშკარად უარყოფითად იმოქმედა 2014 წლის ოლიმპირი თამაშების მასპინძლებზე.

«ჩვენი თვითმიზანი არაა, სოჭს ჩამოერთვას ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება, მაგრამ მანამდე უნდა შესრულდეს ჩვენი მოთხოვნები - დატოვონ საქართველოს ტერიტორია. თუ რამე მოხდება აფხაზეთში, ჩვენ მასზე პასუხისმგებლობას იმ მიზეზით ვერ ავიღებთ, რომ რეგიონი ჩვენთვის არაკონტროლირებადი ტერიტორიაა. ასე რომ, კარგი იქნება თუ მასპინძელი იქნება ზალცბურგი, ანაც პიონჩანი».

...შარშან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გვატემალის 119-ე სესიაზე ოლიმპიზმის მესაჭეთა დიდმა ნაწილმა კორეის პიონჩანსა და ავსტრიის ზალცბურგს რუსეთის სოჭი ანაცვალა.

გასათვალისწინებელია, რომ მაშინდელი სესიის მონაწილეთა საბოლოო გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სესიაზე საგანგებოდ ჩასულმა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა.

აშკარაა რუსულმა მხარემ კარგად იმუშავა ოლიმპიზმის მესაჭეთა იდეოლოგიაზე - სოკ-ის 51 წევრმა 47-ის წინააღმდეგ სოჭს დაუჭირა მხარი (აშკარა ფავორიტად პიონჩანი იყო შერაცხული).

ერთი სიტყვით, დღეს შავიზღვისპირა ქალაქის წარმატება ვლადიმირ პუტინს მიეწერება. უფრო სწორად მის საუბრებს სოკ-ის გავლენიან წევრებთან. იმასაც ამბობენ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ყატარის შეიხი გადაიბირაო. ყატარის შეიხი კი სოკ-ში დიდი გავლენით სარგებლობს.

როგორც არ უნდა იყოს, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების 37-ე გენერალურ ასამბლეა სხვა მრავალთა შორის სწორედ ის ტრიბუნაა, სადაც სეოკ-ი ხმამაღლა დააფიქსირებს საკუთარ პოზიციას. ანუ იმას, რომ ფეთქებადსაშიში რეგიონის მეზობლად არამართებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მასპინძლობა, როგორიც ოლიმპიური თამაშებია. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია, რომელიც დღეს გაემგზავრა სტამბოლში, ოლიმპიზმის მესაჭეებს ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების წერილობითი თხოვნა თუ მიმართვაც უნდა გადასცეს, რომლის შემოკლებულ შინაარსაც აქვე გაეცნობით.

### საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ბატონ ჟაკ როგს სოკ-ის წევრს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტს ბატონ მარიო ვასკეს რანიას სოკ-ის წევრს, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტს ბატონ პატრიკ ჰიკს გენერალური ასამბლეის მონაწილეებს სპორტის ზამთრის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციებს

ნება გვიბოძეთ, მივაპყროთ თქვენი ყურადღება იმ რთულ პროცესებზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ იმ გარემოზე, რომელშიც 2014 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარება იგეგმება.

ქალაქი სოჭი, მიუხედავად მისი ყველა ღირშესანიშნაობისა, არის ევროპის კონტინენტის ერთ-ერთი ყველაზე ფეთქებადსაშიში «ცხელი წერტილის» - რუსეთისმიერ საქართველოს ერთ-ერთი ოკუპირებული რეგიონის - აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორია. აფხაზეთში, მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ადგილი ქონდა ქართული მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას და ევროპის საზღვრების უპრეცედენტო ძალისმიერ გადანაცვლებას. 2008 წლის აგვისტოში კი აფხაზეთის კიდევ ერთ ნაწილში - ზემო აფხაზეთში განხორციელდა ეთნიკური წმენდის ახალი ტალღა, რის შედეგადაც ათასზე მეტ ქართველს მოუწია საკუთარი საცხოვრებელი სახლის დატოვება. ყოველივე ეს განხორციელდა რუსეთის პირდაპირი ჩარევის შედეგად. რუსეთის ამ ქმედებებით გამოწვეული ურთულესი პრობლემები დღემდე გადაუჭრელია.

რუსეთის აშკარა და ღია აგრესიამ საქართველოს მიმართ, უკიდურესად დაძაბა რეგიონში უსაფრთხოების სიტუაცია, რამაც ოლიმპიური თამაშების სოჭში ჩატარების მიზანშეწონილობა ეჭვქვეშ დააყენა. ზოგადად, რუსეთის აღნიშნული ქმედებები ეწინააღმდეგება ოლიმპიური ქარტიის დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ, რომ სპორტი გამოიყენება «პიროვნების ჰარმონიული განვითარებისთვის მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით».

განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების შეჭრა დაემთხვა 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გახსნას პეკინში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ოლიმპიური თამაშები გამოყენებულ იქნა საქართველოში განხორციელებული აგრესიიდან საერთაშორისო ყურადღების გადასატანად. რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაიღუპა და დაშავდა უდანაშაულო ხალხი, ათეულობით ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე გახდა ეთნიკური წმენდის მსხვერპლი, ხოლო ისინი, ვინც ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩნენ (მათ შორის აფხაზეთშიც) იმყოფებიან მუდმივი ტერორის და რეპრესიის საფრთხის ქვეშ. რუსეთის სამხედრო დაბომბვების შედეგად განადგურდა და დაზიანდა საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღები, სკოლები, საავადმყოფოები, ისტორიული ძეგლები და მრავალი სპორტული ობიექტი.

ოლიმპიური თამაშების ჩატარება ტერიტორიაზე, რომელიც ერთის მხრივ ესაზღვრება აფხაზეთის კონფლიქტურ ზონას, ხოლო მეორეს მხრივ ჩრდილოეთ კავკასიის უაღრესად არასტაბილურ და ფეთქებადსაშიშ რეგიონებს, საფრთხეს შეუქმნის თამაშებში მონაწილე სპორტსმენების სიცოცხლეს, ხელს შეუშლის მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენის სრულფასოვან ჩატარებას.

შექმნილ ვითარებაში ქართველი ოლიმპიელები, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი მოგმართავთ თხოვნით, ერთხელაც გადახედოთ, რამდენად მიზანშეწონილია XXII ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელმაც მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა და მისი ტერიტორიები მიიტაცა.

თავის დროზე, საქართველომ მხარი დაუჭირა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სოჭში ჩატარებას, მაგრამ არა ასეთ ფეთქებადსაშიშ ვითარებაში.

მოგიწოდებთ, ერთად მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები მშვიდობიანად, როგორც ეს შეეფერება სპორტული შეჯიბრებებისა და ურთიერთპატივისცემის უდიდეს დღესასწაულს.

### უოლკოტი სამ თვეს იუქმებს

ინგლისის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდისა და ლონდონის "არსენალის" თავდამსხმელი ტეო უოლკოტი მხრის ტრავმის გამო სამი თვე ვერ ითამაშებს.

სამშაბათს უოლკოტი ინგლისის ნაკრების ვარჯიშზე დაშავდა და მის ნაცვლად ფაბიო კაპელომ გუნდში "ვესტ ჰემის" ნახევარმცველს სკოტ პარკერს უხმო.

19 წლის ფეხბურთელი "არსენალში" 2006 წლიდან გამოდის და გუნდის რიგებში ჩატარებულ 54 მატჩში 5 გოლი გაიტანა.

### "ტოტენჰემმა" მეკარეების მწვრთნელი გაუშვა

ინგლისის პრემიერლიგაში მოასპარეზე "ტოტენჰემის" ხელმძღვანელობამ გუნდიდან მეკარეთა მწვრთნელი ჰანს ლიიტერტი დაითხოვა.

ლიიტერტი "ტოტენჰემში" 2008 წლის მაისში მივიდა. მანამდე ის ავსტრიის "რაპიდში", "აუსტრიაში", საბერძნეთის "პანათინაიკოსსა" და ავსტრიის ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობდა.

მოსალოდნელია, რომ მას ლონდონურ კლუბში "პორტსმუთის" მეკარეთა მწვრთნელი დევიდ კოულსი შეცვლის.

### რობენი ბრუნდება

მადრიდის "რეალის" თავდამსხმელი არიან რობენი, რომელმაც კუნთის ტრავმის გამო ორი კვირა გამოტოვა, ბურთით ვარჯიშს შეუდგა.

ჰოლანდიელი მოედანზე შეხვეული ფეხით გავიდა და გარბენების შემდეგ, კრისტოფ მეტცელდერთან ერთად, "რეალის" ერთ-ერთი მწვრთნელის (რომელიც გუნდში ტრავმირებული ფეხბურთელების რეაბილიტაციის პროცესს კურირებს) მეთვალყურეობის ქვეშ ივარჯიშა.

რობენმა მადრიდში, ჩემპიონთა ლიგაში ტურინის "იუვენტუსთან" მატჩის დაწყებამდე, მოთელვისას მიიღო ტრავმა.

### ბუფონი „მილანს" იხსენებს

თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, იტალიელი ჯანლუიჯი ბუფონი ტრავმირებულია, რამაც სკეპტიკოსებს მის სავარაუდო შემცვლელთათვის თვალის გადავლებისა და „სკუადრა აძურაში" მაღალი დონის მეკარის დეფიციტზე საუბრის უფლება მისცა.

„არა მგონია, რომ იტალიას მეკარეთა კრიზისი დაუდგა. ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდა კიპერები გვყავს. ამელია, კურჩი და მირანტე, რა თქმა უნდა, კარგი მეკარეები არიან, მაგრამ მე მინდა სპეციალისტთა ყურადღება „კალიარის" კარის დარაჯზე მივაპყრო - დარწმუნებული ვარ, ფედერიკო მარკეტის უდიდესი მომავალი აქვს", - აღნიშნავს ბუფონი, რომელიც საკუთარ ტრავმასა და სხვა საკითხებზეც საუბრობს: „ჯერჯერობით ვერ ვთამაშობ, რადგან კუნთი მაქვს გაწყვეტილი. ეს ჩემი ბრალიცაა. ტკივილს წინა დღეებშიც ვგრძნობდი, მაგრამ „პალერმოსთან" თამაში მაინც გადავწვიტე. მინდოდა, გუნდს გვერდში დავდგომოდი, თუმცა პირიქით გამომივიდა - სიცილიელებთან მატჩში ტრავმა გავირთულე და ახლა იანვრამდე მომიწევს უქმად ყოფნა".

„მე არასოდეს არ გადავალ სხვა იტალიურ კლუბში. გამონაკლისია მხოლოდ „ჯენოა", რომელსაც ბავშვობიდან ვქომაგობ. დღეს უკვე შემიძლია ყველას გასაგონად ვთქვა, რომ სამი წლის წინ სულ ახლოს ვიყავი „მილანში" გადასვლასთან, მაგრამ სინდისმა ამის ნება არ მომცა. თუ ახლა რომელიმე გუნდი ჩემს სანაცვლოდ 40 მილიონ ფუნტს გადაიხდის, ამ ტრანსფერის პირველი მხარდამჭერი მე ვიქნები. ძალიან მიყვარს „იუვენტუსი" და, ამ თანხის მიღების შემთხვევაში, შემადგენლობის მნიშვნელოვნად გაძლიერება შეიძლება".

„ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგის მოგების კარგი შანსი გვაქვს. ოპტიმისტურად განწყობის საბაბს ჩვენი გუნდის ფსიქოლოგია მაძლევს - „იუვენტუსი" შეკრული და გამოცდილი გუნდია, რაც ლიგის მოსაგებად უმთავრესი პირობაა. „ბებერი ქალბატონის" სიძლიერე „რეალთან" შეხვედრებშიც კარგად გამოჩნდა," - აცხადებს ბუფონი.

### ფერგიუსონი დასაჯეს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარ მწვრთნელს სერ ალექს ფერგიუსონს პრემიერლიგის მე-11 ტურის მატჩში, "ჰალთან" მოგებულ შეხვედრაში, მსაჯის შეურაცხყოფისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და 15 000 ფუნტის გადახდა დააკისრეს.

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის გადაწყვეტილება ძალაში შევა 2 დეკემბერს, რის შედეგადაც, ფერგიუსონი მანჩესტერელებს ინგლისის ლიგის თასზე "ბლექბერნთან" და პრემიერლიგაში "სანდერლენდთან" შეხვედრებში ვერ უხელმძღვანელებს.

### მოიესი დააჯარიმეს

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ "ევერტონის" მთავარი მწვრთნელი დევიდ მოიესი, მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტებისთვის, 5000 ფუნტით დააჯარიმა.

14 სექტემბერს, "სტოკ სიტისთან" 2:2 დასრულებულ მატჩში, არბიტრმა ალან უილიმ "სტოკის" მცველის ლეონ კორტის მიერ ხელით თამაშის გამო პენალტი დანიშნა, მაგრამ თანაშემწესთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა და თამაშის წესების დარღვევა საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარეთ დააფიქსირა. ამან "ევერტონის" მთავარი მწვრთნელის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რის გამოც ის მსაჯმა ტრიბუნაზე მიაბრძანა.

მოიესი, დაჯარიმების გარდა, გააფრთხილეს. იგივეს გამეორების შემთხვევაში მას გაცილებით სერიოზულად დასჯიან.

### შირერი "ნიუკასლში" დაბრუნებას აპირებს

ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა, 38 წლის ალან შირერი „ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავებაზე ოცნებობს. როგორც შირერის ყოფილმა თანაკლუბელმა რობ ლიმ განაცხადა, წარსულში შესანიშნავ ფორვარდს „კაჭკაჭების" გაწვრთნის დიდი სურვილი აქვს. ის მზად არის უახლოეს მომავალში გუნდს თავკაცობა გაუწიოს.

"ნიუკასლის" შირერისთვის ჩაბარებაზე აქამდეც არაერთხელ ყოფილა საუბარი, მაგრამ თვითონ ფეხბურთელი მუდამ უარს ამბობდა პოსტის დაკავებაზე. 2006 წელს, როცა შირერმა „ნიუკასლი" დატოვა, მან პირობა დადო, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დავბრუნდები, ოღონდ დამრიგებლის ამპლუაშიო. როგორც ჩანს, შირერს პირობის შესრულების დრო დაუდგა.

„თუ კლუბში სიტუაცია დღესვე დალაგდება, შირერი მზად არის ხვალიდან მისი მთავარი მწვრთნელი გახდეს. პირადად მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს ხანში ალანი „კაჭკაჭების" მთავარი მწვრთნელის პოსტს დაიკავებს", - განაცხადა ლიმ.

ცოტა ხნის წინ „ნიუკასლის" სავარაუდო თავკაცთა შორის „ანორთოსისის" ქართველ დამრიგებელს თემურ ქეცბაიასაც ასახელებდნენ.

### ლოტიტოს ოცთვიანი პატიმრობა ემუქრება

რომის "ლაციოს" პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო, რომელსაც კლუბის მიერ 2005 წელს განხორციელებული ტრანსფერებისას იტალიის კანდონმდებლობის დარღვევა ედება ბრალად, შესაძლოა გისოსებს მიღმა აღმოჩნდეს.

როგორც სააგენტო აპ იუწყება, სასამართლო გარჩევის დროს პროკურორმა ლაურა პედიომ ლოტიტოსთვის ოცთვიანი პატიმრობის შეფარდება და ჯარიმის სახით 20 000 ევროს დაწესება მოითხოვა.

ლოტიტოს გარდა, საქმეში გარეულია იტალიელი ბიზნესმენი რობერტო მეცარომა, რომელსაც 16 თვით პატიმრობა და ასევე 20 000 ევროთი დაჯარიმება ემუქრება. ორივე ეჭვმიტანილი წაყენებულ ბრალდებას უარყოფს.

### ბენიტესი კონფლიქტს უარყოფს

"ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა გუნდის ირლანდიელ თავდამსხმელ რობი კინთან კონფლიქტი უარყო.

ბენიტესმა ასეთი განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც პრემიერლიგის მე-13 ტურში, "ბოლტონთან" გამართულ შეხვედრაში, კინმა მოედნიდან მისი დროზე ადრე გაყვანა გააპროტესტა.

"ის ფაქტი, რომ ფეხბურთელი შეცვლით უკმაყოფილოა, ნორმალურია. ამის შემდეგ თითოეული მოთამაშე მომავალი მატჩისთვის მეტი მონდომებით უნდა მოემზადოს. ჩვენი გუნდის თითოეული ფეხბურთელი გამარჯვებულის მენტალიტეტისაა და ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არავის არა აქვს. საჭიროდ არ ვთვლი, რომ კინს ცვლილების თაობაზე ვესაუბრო. უმჯობესია მომდევნო მატჩისთვის მომზადებაზე მოვახდინოთ კონცენტრაცია," - განაცხადა ბენიტესმა.

# ნაგებული ამხანაგობა

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი რუმინეთთან ამხანაგურ მატჩში გამარჯვებას გეგმავდა, პირიქით კი მოხდა. რუმინეთმა 2:1 მოგვიგო. ერთი იმით თუ შეგვიძლია დავიმშვიდოთ თავი, რომ ამხანაგური შეხვედრა იყო, მეორე იმით, რომ ერთი ტაიმი მაინც მოვიგეთ, მესამე იმით, რომ ქართველთა არგენტინელმა დამრიგებელმა ნაკრების ძირითადი შემადგენლობა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მოთამაშეებს ანდო, მეოთხე ის, რომ რუმინეთი ფატობრივად უძლიერესი შემადგენლობით დაგვხვდა. მგონი ოთხი საპატიო მიზეზი გამომივიდა.


მარცვალაძის გოლმა 62-ე წუთამდე გაგვანებივრა

თამაშამდე ცოტა ხნით ადრე კუპერი აცხადებდა, ამხანაგური შეხვედრაა და ისეთი ფეხბურთელების გამოცდის საშუალება მექნება, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან, თუმცა ეს ჩვენ გეგმებს არ ცვლის. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრები მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავაო. გავიდნენ და ერთი ტაიმი მოიგეს, ბურთს კი ძირითადად მასპინძლები აკონტროლებდნენ.

...ცენტრალური მცველების შეცდომს წყალობით ოთარ მარცვალაძემ 11-ე წუთზე მატჩში ანგარიში გახსნა. უპირატესობა შეგვეძლო კიდევ გაგვეზარდა, მაგრამ აქედან რაც გამოვიდა ბუქარესტის დინამოს სტადიონის ტაბლოზეც ჩანდა.

მეორე ტაიმის 62-ე წუთზე ჩიპრიან მარიკამ ანგარიში გაათანაბრა. რვა წუთის შემდეგ დორინ გოიანმა რუმინეთი დააწინაურა - 2:1, რაც საბოლოოდ ჩაიწერა საქართველო-რუმინეთის დაპირისპირებათა ისტორიაში.

# ენერგოპრობლემები შოტლანდიაშიც ყოფილა

შოტლანდიურ ტურნეში მყოფი საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მეორე გამანადგურებელ მარცხს ბანალური მიზეზის გამო გადაურჩა - ედინბურგის ნაკრებთან მატჩის 25-ე წუთზე, როდესაც "ბორჯღალოსნები" 0:19-ს აგებდნენ, სტადიონზე ელექტროენერგიის გათიშვის გამო თამაში შეწყდა.

შეგახსენებთ, რომ 14 ნოემბერს ავსტრალიელი ტიმ ლეინის მიერ გაწვრთნილი საქართველოს ნაკრები შოტლანდიის A გუნდთან 3:69 დამარცხდა, ედინბურგელებთან კი, წესით, უფრო ყოჩაღად უნდა ეთამაშა, თუმცა ჩვენი იმედი არ გამართლდა.

კლუბ "ბარამიურის" სტადიონ "მეგეთლენდზე" მიმდინარე მატჩის მეოცე წუთისთვის ედინბურგელებს 3 ლელო (როს რენი-2, კრეიგ ლეიდლოუ) და 2 გარდასახვა (დევიდ ბლეირი) ჰქონდათ გატანილი და ქართველებს ალბათ არც დარჩენილ დროში დაინდობდნენ, ჩვენი გუნდისთვის მოულოდნელ ჩამობნელებას რომ არ ეშველა.

ცხადია, მატჩი აღარ გაგრძელებულა, თუმცა, შოტლანდიური ვოიაჟის შედეგები რომ კარგად არის გასააზრებელი, აშკარაა.

სქოთების A გუნდთან მარცხს თუ კიდევ შეიძლება რაიმე ახსნა მოეძებნოს, ედინბურგელებთან უსახურ თამაშს არავითარი გამართლება არა აქვს.

სრულიად კელტეთის "მაგნერზ ლიგასა" და "ჰაინეკენის თასზე" მოასპარეზე "ედინბურგს" შოტლანდიის პირველ ნაკრებში 9 მორაგბე ჰყავს, თუმცა, ქართველებთან მათი მოცდენა არ ინება. ასე რომ, მასპინძლები "ბორჯღალოსნებს" გლაზგოში ჩვენს წინააღმდეგ ერთხელ უკვე ნათამაშები 4 მოთამაშის მხარდამხარ დაყენებული სათადარიგოებით დაუდგნენ. ჩვენი გუნდის მწვრთნელებმა ჩაშლილი მატჩისთვის 15-ეულში 6 სათადარიგო დააწინაურეს, თუმცა, როგორც ჩანს, შედეგი ვერც ამ გადაადგილებებმა მოიტანა.

ედინბურგის ნაკრებთან მატჩში "ბორჯღალოსანთა" სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: *მალაღურაძე, შკინინი, კაჭარავა, ხმალაძე, მაჩხანელი, კვირიკაშვილი, სამხარაძე, უდესიანი, ურუშაძე, ს.მაისურაძე, ზედგინიძე, უჩავა, კავთიძე, დადუნაშვილი, გასვიანი.*

# კოკაი პირად რეკორდს უმიზნებს

იაპონიის კუნძულ კიუსიუს „ფუკუოკა კოკუსაი სენთერში" მიმდინარე ნოემბრის ბაშოს მორიგ ტურში, როგორც იქნა, ორმაგ ქართულ გამარჯვებას მოვესწარით. სეზონის უკანასკნელი ბაშოს მეთერთმეტე დღე ქართველთათვის იღბლიანი გამოდგა. კოკაიმ მორიგი გამარჯვებით დადებითი ბალანსი (კატიკოსა) გაინაღდა, ტოჩინოშინმა კი მეორე ბრძოლა მოიგო.


კოკაიმ და ტოჩინოშინმა ერთად მოიგეს

გუშინ ლევან ცაგურია დასავლეთის მეცამეტე მაიგაშირა ტამანოშიმას ხვდებოდა. ქართველმა სუმოისტმა მეტოქეს იორიკირის ილეთით მოუგო და რვა გამარჯვება დაუგროვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ კოკაი ბაშოს დადებითი ბალანსით დაასრულებს და რეიტინგშიც დაწინაურდება. დარჩენილი ოთხი ბრძოლა კი გადაწყვეტს, თუ რა დიდ წინსვლას განიცდის კოკაი რეიტინგში. თუ მეთერთმეტე მაიგაშირა ლევან ცაგურია დარჩენილი ოთხი ბრძოლიდან სამს მოიგებს, არა მარტო სარეიტინგო ხეირს ნახავს, არამედ პირად რეკორდსაც დაამყარებს. შეგახსენებთ, რომ კარიერის განმავლობაში კოკაის მაქსიმალური შედეგი ერთ ბაშოზე ათი გამარჯვება იყო, ახლა კი ცაგურიას 11 ბრძოლის მოგების რეალური შანსი აქვს.

ტოჩინოშინი გუშინ აღმოსავლეთის მერვე მაიგაშირა ტაკეკაზეს დაუპირისპირდა და ჰატაკიკომის ილეთით დაამარცხა მეტოქე.

გუშინდელი დღის შემდეგ ბაშოს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს. დამარცხდა აღმოსავლეთის მეშვიდე მაიგაშირა მიაბიამა, რომელსაც აქამდე მხოლოდ ერთი მარცხი ჰქონდა. მორიგი ბრძოლა მოიგო იოკოძუნა ჰაკუჰომ. ახლა მის აქტივში ათი გამარჯვება და ერთი მარცხია. ასე რომ, ჰაკუჰოს ამ ტურნირის მოგება არ უნდა გაჭირდეს.

დღეს შეჯიბრების მეთორმეტე დღეა. კოკაი აღმოსავლეთის მერვე მაიგაშირა ტაკეკაზეს უნდა შეეჭიდოს. მას თერთმეტიდან ხუთი ბრძოლა აქვს მოგებული. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში კოკაი სამჯერ შეხვდა ტაკეკაზეს და ორჯერ დაამარცხა.

ტოჩინოშინის მეტოქე კი იქნება აღმოსავლეთის მეხუთე მაიგაშირა ასასეკირიუ, რომელიც, ქართველის დარად, ნოემბრის ბაშოზე წარმამტებით ვერ დაიკვეხნის. მას რვა ბრძოლა აქვს წაგებული და რეიტინგში დაქვეითებას ვერ გადაურჩება.

# "ქორებმა" გამარჯვების გემო დაივიწყეს

NBA-ს რეგულარულ სეზონში „ჰოუქსმა" ზედიზედ მეოთხე მარცხი იწვნია. არადა, «ქორებმა" ჩემპიონატი 6 მოგებით დაიწყეს და მთელი NBA აალაპარაკეს, თუმცა ბოლო მატჩებში ჯორჯიელებს უიღბლობა დაებედათ და გუშინ, გამთენიისას, «ინდიანასთან" 96:113 დათმეს მატჩი.

ატლანტელთა წაგებებს ერთადერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს - ტრავმები. ჯერ იყო და, «ქორებს" მარვინ უილიამსი გამოაკლდათ რამდენიმე მატჩით, შემდეგ ჯოშ სმიტი დაემტვრათ, ზაზა ფაჩულიამაც გამოტოვა ერთი მატჩი. წუხელ კი ატლანტელებს ნაქები ცენტრი ალ ჰორფორდიც დაემტვრათ. თამაში 7 წუთის დაწყებული იყო, როცა ფაჩულიას კონკურენტს მარჯვენა ფეხი გადაუბრუნდა, კოჭი დაიზიანა და მოედანი ისე დატოვა, რომ უკან აღარ დაბრუნებულა.

ზაზა ფაჩულიაც ხუთეულში იყო. მან წინა მატჩი მხრის ტკივილის გამო გამოტოვა, თუმცა საგანგაშო არაფერი ყოფილა და "ინდიანასთან" თავიდანვე გავიდა მოედანზე. თუმცა ქართველმა ცენტრმა ბევრი ვერაფრით შეაშველა ხელი თავისიანებს, თუ არ ჩავთვლით ფარიდან ასხლეტილი 8 ბურთის მოხელთებას. მის ფარქვეშა აქტიურობას აუფერულებს თამაშიდან ნასროლი და აცილებული ექვსივე სროლა. ზაზამ ის 4 ქულა საჯარიმოს ხაზიდან მიითვალა, თუმცა ყველა რომ ჩაეგდო, ექვსსაც მოაგროვებდა.

ატლანტელებმა უიმედოდ წააგეს ეს მატჩი - ისე, რომ წარმატების შანსი არც მისცემიათ. დენი გრეინჯერის დიდებული თამაშის წყალობით ინდიანელები სულ წინ იყვნენ და «ქორებს" მიახლოების საშუალებას უსპობდნენ.



*ამჯერად ზაზა ფაჩულია თავის გუნდს ვერაფრით დაეხმარა*

ამერიკიდან ევროპაში გადავინაცვლოთ, სადაც წარმატებით თამაშობენ ის გუნდები, რომლებშიც ქართველები ასპარეზობენ.

მანუჩარ მარკოიშვილმა და «ბკ კიევმა" დონეცკში იმარჯვეს - 75:63. ქართველმა უკანახაზელმა მოედანზე 14 წუთი გაატარა და ერთადერთი სამქულიანი სროლაც ააცილა. მის ანგარიშზე მხოლოდ 2 პასი და 1 მოხსნა დაგროვდა. 30 დეკემბერს მარკოიშვილის გუნდს საკუთარ კედლებში ელის დონეცკელებთან მატჩი და სავარაუდოდ ნახევარფინალის საგზურსაც დაიბევებს.

ესტონეთის საკალათბურთო ჩემპიონატის ცენტრალურ მატჩში ტარტუს «როკი" პრინციპულ მეტოქეს - ტალინის «კალევს" ესტუმრა და 76:70 დაამარცხა. გადამწყვეტი გამოდგა მესამე მეოთხედი, რომელიც სტუმრებმა 22:8 მოიგეს.

"როკის" ძირითად შემადგენლობაში ქართველთაგან გიორგი ცინცაძემ ითამაშა და 30 წუთში 10 ქულა, 3 მოხსნა და 6 პასი მიითვალა.

გიორგიმ 6-დან 4 ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

20 წუთში 9 ქულა, 8 მოხსნა და 1 პასი მიითვალა ვიქტორ სანიკიძემ. ქართველმა კალათბურთელმა ოთხივე ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი კი გაუცუდდა.

ტარტუელთა რიგებში საუკეთესო ტანოკა ბერდმა 15 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა.

"როკს" 4-დან 4 გამარჯვება აქვს და ესტონეთის პირველობის ლიდერად რჩება.

## სესარმა "ბოლონიას" მიაშურა

"ინტერის" ყოფილი ნახევარმცველი სესარი თავისუფალი აგენტის სტატუსით "ბოლონიაში" გადავიდა.

ბრაზილიელმა ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და კლუბთან კონტრაქტი გააფორმა.

34 წლის სესარი "ინტერში" 2006 წლიდან ირიცხებოდა და გუნდის რიგებში ჩატარებულ 17 შეხვედრაში ერთხელ აილო მეტოქის კარი. კარიერის განმავლობაში მან ბრაზილიის ეროვნულ გუნდში ორი მატჩი ჩაატარა.

## ძებინას ოპერაცია ელის

ტურინის "იუვენტუსის" ფრანგ მცველს ჯონათან ძებინას, რომელსაც მარცხენა ფეხის მყესის ანთება აწუხებს, ხუთშაბათს არეცოში ოპერაციას გაუკეთებენ. ოპერაციის შემდეგ ფეხბურთელის სარეაბილიტაციო პროცესი სამ თვეს გასტანს.

ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ ფრანგი ფორვარდი დავიდ ტრეზეგე, ორივე ფეხზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ, მიმდინარე კვირაში შეუდგება ვარჯიშს.

რაც შეეხება ასევე ტრავმირებულებს - კრისტიან პოულსენსა და ჰასან სალიჰამიჯიჩს, ისინი სავარაუდოდ შაბათს, "ინტერთან" ჩასატარებელი მატჩისთვის დაბრუნდებიან გუნდს.

## დიარა სამ კვირას დაისვენებს

საფრანგეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და ინგლისური "პორტსმუთის" ნახევარმცველი ლასანა დიარა კოჭის ტრავმის გამო სამი კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს თამაშს.

ფრანგი ფეხბურთელი, ინგლისის პრემიერლიგის მე-13 ტურში, "ვესტ ჰემთან" მატჩის მე-19 წუთზე დაშავდა და მოედანი დატოვა.

დიარა "პორტსმუთში" გასული სეზონის მეორე ნახევარში ლონდონის "არსენალიდან" გადავიდა და გუნდის რიგებში ჩატარებულ 22 მატჩში ერთი გოლი გაიტანა.

წარმოშობით მალელი 23 წლის ფეხბურთელი 2007 წლიდან იცავს საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ღირსებას.


# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აცხადებს (პირობებიანი) ა უ ქ ც ი ო ნ ს

**შპს „ორთაჭალაჰესი 2007"-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის პრივატიზების მიზნით**

www.privatization.ge

| | |
|---|---|
| **საწყისი გასაყიდი ფასი** | 25 000 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში |
| **"ბე"** | 2 500 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში |
| **მონაწილის ბილეთის ფასი** | 50 ლარი |
| **"ბიჯი"** | 250 000 აშშ დოლარი |
| **კაპიტალი** | 1 768 670 ლარი |
| **იურიდიული მისამართი** | ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2 |
| **ძირითადი სამეწარმეო საქმიანობა** | ელექტროენერგიის წარმოება და/ან გენერაციის აქტივების მართვა. აგრეთვე, ნებისმიერი საქმიანობა, რაც არაა აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით. |
| **ძირითადი ქონების ჩამონათვალი** | შენობა-ნაგებობები და მათში განთავსებული მოძრავი ქონება; მიწის ნაკვეთი ქ. თბილისი, იალბუზის ქ. №1 7103 კვ.მ. |
| **განაცხადების მიღების ადგილი** | ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №12, მე-2 სართული |
| **განაცხადების მიღების ვადა** | 2008 წლის 20 ნოემბრიდან 2008 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით 14.00სთ-დან 17.00 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა) |
| **აუქციონის ჩატარების თარიღი** | 2008 წლის 19 დეკემბერს, 17.30 სთ |
| **საბანკო რეკვიზიტები** | მიმღები: ერთიანი ანგარიში (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222 სახაზინო კოდი 302003000 |
| **შენიშვნა** | გაფორმებულია საიჯარო ხელშეკრულება შპს „ორთაჭალენერჯისთან". ამასთან, შპს „ორთაჭალაჰესი 2007"-მა კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართა მოიჯარეს 07.10.2008წ. №1-01/11 წერილით აღნიშნული ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით, რომელიც გაუქმდება 2009 წლის 7 იანვარს. ამასთან, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გასწევს კანონით გათვალისწინებულ ყველა ძალისხმევას იმისათვის, რომ შპს-ის ქონება იყოს უფლებრივად უნაკლო. |

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:**

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება. აგრეთვე, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს. ამასთან, მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან პირობებით გათვალისწინებულ ვადაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

**სააუქციონო პირობა:**

– საპრივატიზებო თანხის გადახდა აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა;

– მყიდველი ვალდებულია, უზრუნველყოს ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრის არანაკლებ 70%-ის შესაბამისი წლიური გამომუშავება.

**საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმია:**

ა) ვალდებულების აღება საუქციონო პირობის დაკმაყოფილებაზე;

ბ) მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის გასაყიდ ფასს (ქონება ითვლება გაყიდულად იმ აუქციონის მონაწილეზე, ვინც აუქციონატორს ყველაზე მაღალი ფასი შესთავაზა)

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ სამინისტროში);

ბ) „ბე"-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები;

გ) პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლებს (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ბოლო მდგომარეობით), პარტნიორთა კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმს.

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

ობიექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში (მის. ჭანტურიას ქ. №12), სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.privatization.ge ან შემდეგ ნომრებზე – 997881, 893 42 20 02.

**გამყიდველი - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო**

# ნოვაკ ჯოკოვიჩის სეზონი

წლევანდელი საჩოგბურთო სეზონი წარმატებული გამოდგა სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩისთვის. 2008 წელი მან ავსტრალიის ღია პირველობის მოგებით დაიწყო და შანხაის მასტერსის ტურნირის მოგებით დაასრულა. ახლა ჯოკოვიჩი საჩოგბურთო რეიტინგში მესამე ადგილზეა და მალე ალბათ უკან ჩამოიტოვებს როჯერ ფედერერს.

საკუთარი წარმატების საიდუმლოზე ჯოკოვიჩი ჟურნალისტებს შანხაის ტურნირის მოგების შემდეგ ესაუბრა.

**- გვიამბეთ, რა მნიშვნელობა აქვს თქვენს გამარჯვებას და ელენა იანკოვიჩის პირვლობას ქალთა საჩოგბურთო ამქარში.**

- ვფიქრობ, სერბეთი ნელ-ნელა შეეჩვია პირველობას ჩოგბურთში და მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს ასე გაგრძელდეს. რა თქმა უნდა, ვხუმრობ, თუმცა, ცხადია, მეამაყება, რომ ჩემს ქვეყანას წარმოვადგენ. როდესაც პროფესიონალი ჩოგბურთელი ხარ და წარმატებით თამაშობ, შენი ქვეყნის არაოფიციალური ელჩის სტატუსიც გაქვს. აღარაფერს ვამბობ ელენას წარმატებებზე.

**- მასტერსის თასი არაერთ დიდ ჩოგბურთელს მოუგია. სამპრასი, აგასი, ფედერერი... თქვენთვის რას ნიშნავს ეს ტიტული?**

- ეს ტიტული ჩემთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. მასტერსის გათამაშება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც დიდი სლემის ტურნირები. სეზონის დასკვნით შეჯიბრებაში რვა საუკეთესო ჩოგბურთელი იყრის თავს და მისი მოგება ძალიან ძნელი და პრესტიჟულია. ჩემს შემთხვევაში ამ ტურნირს სხვა დატვირთვაც ჰქონდა. სეზონის მეორე ნახევარში რამდენიმე ტურნირის ფინალი ვითამაშე და სულ ვაგებდი. რომის შემდეგ ტიტულის მოგებას ველარ ვახერხებდი.

**- თვალშისაცემია ის პროგრესი, რომელიც 2007 წელთან შედარებით განიცადეთ. რით არის ეს განპირობებული?**

- შანხაის ტურნირის მსვლელობისას არაერთხელ ვთქვი, რომ წლევანდელ და გასული სეზონის ტურნირებს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ შარშან დებიუტი მქონდა. გასულმა სეზონმა უდიდესი გამოცდილება შემძინა, წლეულს კი ამ გამოცდილებამ შედეგი გამოიღო.

**- თქვენ ახალი თაობის ჩოგბურთელთა წარმომადგენელი ხართ. წლეულს არაერთმა ახალგაზრდამ იზეიმა გამარჯვება სხვადასხვა ტურნირზე.**

- დიახ, ნამდვილად საინტერესო სეზონი იყო. მართლაც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნებისმიერი ტურნირის მოგების კანდიდატი გაცილებით მეტია, ვიდრე ადრე. ჩემი აზრით, ჩოგბურთისთვის ეს უკეთესია.

**- მართალია თუ არა, რომ ჩინეთში გულშემატკივრებმა ოცდაათამდე სუვენირი მოგიძღვნეს?**

- დიახ, დაახლოებით მაგდენი იყო.

**- სად მიგაქვთ ამდენი სუვენირი, მათი შესანახი ადგილი მაინც თუ გაქვთ?**


ჯოკოვიჩმა სეზონი ტრიუმფალურად დაასრულა

- მართლაც, უამრავი საჩუქარი მივიღე. მადლობელი ვარ გულშემატკივრების. ცხადია, შევეცდები ყველა შევინახო.

**- შანხაიში გამართული ფინალის შემდეგ დაშავდით?**

- დიახ, გამარჯვების აღნიშვნისას ხელი გავიჭერი. საზეიმო ცერემონიალის დროს კი სისხლი მომდიოდა. გამოგიტყდებით, ვერც კი შევამჩნიე, როდის მივიღე ეს ტრავმა. საშიში არაფერია...


გონდოლაში მოკალათებულან მსოფლიო საჩოგბურთო სამყაროს ამერიკელი ლეგენდა ჯონ მაკინროი და მისივე თანამემამულე ჯეიმს ბლეიკი. მათ უკან მეორე გონდოლა რომაა იქაც ასევე საჩოგბურთო სამყაროს ლეგენდა შვედი ბიორნ ბორგი მსოფლიოს მეორე ჩოგან შვეიცარიელ როჯერ ფედერერთან ერთად მაკაუს (მალაიზია) ერთ-ერთი არხიდან ღირშესანიშნაობებით ტკბებიან. ფოტო სესია კი იმისკენაა მიმართული, რომ ოდესღაც პორტუგალიის ანკლავი მათი მონაწილეობით ერთგვარ საგამოფენო საჩოგბურთო დაპირისპირებას მასპინძლობს.

## თვლიანი კომპაქტური დამტვირთველი: ROBOT 160

JCB
TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT
JCB-ს ოფიციალური პარტნიორი საქართველოში

ტექნიკის ტიპი: თვლიანი კომპაქტური დამტვირთველი
მწარმოებელი: JCB (დიდი ბრიტანეთი)
მოდელი: ROBOT 160
ძრავის სიმძლავრე: 50 ცხ.ძ.
საექსპლუატაციო მასა: 2,65 ტ.
დატვირთვის მაქსიმალური სიმაღლე: 2,8 მ.
მიწოდების ვადა: 1 თვე
გარანტია: 1 წელი, სამუშაო საათების შეუზღუდავად.




მიწოდების ვადა 1 დღე

ქ. თბილისი, 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.
244 744 შიდა ნომერი: 1211, 899 55-44-73, 244 744 შიდა ნომერი: 1211
E-mail: jcb@tegetamotors.ge, www.tegetamotors.ge
Buy British Beef

## თვითმცლელი: BMC PRO 935 FTE. 8X4

BMC

მიწოდების ვადა 1 დღე

ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
მწარმოებელი: BMC
მოდელი: BMC PRO 935 FTE
მოცულობა: 10 $მ^3$
ძრავი: Cummins C 350-20 (Euro 2) Turbo Intercooler
სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.
გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S, მექანიკური, 16 სიჩქარიანი
ბეტონშემრევი დანადგარი: LIEBHERR
მთლიანი მასა: 41 000 კგ.
მიწოდების ვადა: 5 დღე
ანგარიშსწორება: 3-5 წლიანი ლიზინგი



ქ. თბილისი, 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.
244 744 შიდა ნომერი: 1211, 899 55-44-73, 244 744 შიდა ნომერი: 1211
E-mail: skokhodze@tegetamotors.ge, www.tegetamotors.ge
Tegeta Truck & Bus Ltd


# იყიდება




**საწარმოო ფართი შენობა-ნაგებობებითა და საჭირო ინფრასტრუქტურით, მიწის საერთო ფართი შეადგენს 17544 მ2.**
**მისამართი: გლდანულა, ჯანჯღავას ქ. N62.**
**საკონტაქტო პირი: ბადრი ღლონტი 899 50 71 95.**

# ქ. თბილისის მერიის მიერ 2008 წლის 05 ნოემბერს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, თაბორის მთაზე, ფერისცვალების სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოშანდაკების სამუშაოების შესყიდვის სატენდერო განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის მიერ 2008 წლის 05 ნოემბერს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, თაბორის მთაზე, ფერისცვალების სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოშანდაკების სამუშაოების შესყიდვის სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

**შესყიდვის ობიექტს დაემატა შემდეგი სახის სამუშაოების შესყიდვა:**

ქ. თბილისში, დაბა ოქროყანაში ცენტრალური გზის კეთილმოწყობა ;
ქ. თბილისში, წულუკიძის ქუჩიდან კახეთის გზატკეცილის განაპირა ზოლის მონაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა ;

**შესყიდვის ობიექტი დაიყო 3 (სამი) ლოტად :**

**ლოტი N1 -** ქ. თბილისში, თაბორის მთაზე, ფერისცვალების სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოშანდაკება;
**ლოტი N2 -** ქ. თბილისში, დაბა ოქროყანაში ცენტრალური გზის კეთილმოწყობა;
**ლოტი N3 -** ქ. თბილისში, წულუკიძის ქუჩიდან კახეთის გზატკეცილის განაპირა ზოლის მონაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

**შესრულების სავალდებულო ვადა :**
**ლოტი N1, ლოტი N2 -** ***ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2008 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.***
**ლოტი N3 -** ***ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2009 წლის 01 მაისის ჩათვლით.***

**შეცვლილ იქნა გადახდის დანიშნულება -** სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში, გზების მოშანდაკების და კეთილმოწყობის სამუშაოების (3 ლოტიანი) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

**შეცვლილ იქნა განცხადების მე-8 პუნქტი:**
8.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცხადებულია კონკურსი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად.

*კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:*
ა) უმაღლესი განათლება;
ბ) გამოცდილება ფინანსურ, ეკონომიკურ და ადამიანური რესურსების მართვის სფეროში;
გ) სამოქმედო გეგმისა და კონცეფციის წარმოდგენა;
დ)მხედველობაში მიიღება კანდიდატის გამოცდილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სფეროში.

კანდიდატმა რეგისტრაციისთვის უნდა წარმოადგინოს:
ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია;
დ) 2 ფოტოსურათი 3X4.

საბუთების მიღება და კანდიდატების რეგისტრაცია დაიწყება 2008 წლის 19 ნოემბერს, მის: ქ. თბილისი, რუსთაველის პრ. N19, III სართ. საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 11 დეკემბერი 1500 სთ. კანდიდატების განაცხადების განხილვა ჩატარდება 2008 წლის 11 დეკემბერს.

აკადემიური საბჭო

# თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია 2008 წლის 19 დეკემბერს ატარებს განმეორებით აუქციონს 25% ფასდაკლებით. (პირობით)

აუქციონზე გამოტანილი იქნება თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ირაგის ტერიტორიაზე არსებული ლითო-
ნის მილი

| № | ადგილმდებარეობა | დიამეტრი (მმ) | სიგრძე (მ) | სისქე (მმ) | საწყისი საპრივატიზაციო თანხა(ლარებში) | "ბე" | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სოფ. ირაგი | 500 | 5600 | 7 | 184800 | 9240 | 500 |

2. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა დანიშნულე-
ბის ლითონის მილები, კერძოდ:

| № | ადგილმდებარეობა | დიამეტრი (მმ) | სიგრძე (მ) | საწყისი საპრივატიზაციო თანხა(ლარებში) | "ბე" | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სოფ. ნახიდური | 820<br>219<br>102 | 27.9<br>2500<br>130 | 3278<br>36263<br>454 | 162<br>1814<br>23 | 100<br>500<br>50 |
| 2 | სოფ. რაჭისუბანი | 219 | 150 | 3156 | 158 | 100 |
| 3 | სოფ. ვანათი | 219 | 315 | 3534 | 176 | 100 |
| 4 | სოფ. დისველი | 102<br>80<br>80 | 940<br>300<br>900 | 6556<br>1202<br>2517 | 328<br>60<br>126 | 100<br>50<br>50 |
| 5 | სოფ. დარბაზი | 100<br>102 | 3350<br>1000 | 44220<br>6975 | 2211<br>348 | 500<br>100 |
| 6 | სოფ. რატევანი | 219 | 3000 | 27450 | 1372 | 300 |
| 7 | ქ. ბოლნისი | 325<br>400 | 400<br>216 | 7272<br>5352 | 364<br>268 | 100<br>100 |
| 8 | სოფ. კიანეთი | 219 | 2000 | 5232 | 262 | 100 |
| 9 | დაბა კაზრეთი | 426<br>219<br>100 | 2000<br>500<br>4800 | 117180<br>7215<br>10875 | 5859<br>360<br>544 | 500<br>200<br>500 |

3. წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ფოლადის მაგისტრალური
მილსადენები, კერძოდ:

| № | ადგილმდებარეობა | დიამეტრი (მმ) | სიგრძე (მ) | საწყისი საპრივატიზაციო თანხა(ლარებში) | "ბე" | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სოფ. აშკალა | 350 | 2000 | 9375 | 469 | 100 |
| 2 | სოფ. აშკალა | 150 | 2500 | 9375 | 469 | 100 |
| 3 | სოფ. ჯინისი | 150 | 1000 | 3750 | 188 | 100 |
| 5 | სოფ. ჯინისი | 120 | 1500 | 4219 | 210 | 100 |

4. დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა დანიშნუ-
ლების ლითონის მილები, კერძოდ:

| № | ადგილმდებარეობა | დიამეტრი (მმ) | სიგრძე (მ) | საწყისი საპრივატიზაციო თანხა(ლარებში) | "ბე" | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. დმანისი | 300 | 75 | 1125 | 56 | 50 |
| 2 | სოფ. განთიადი | 500 | 180 | 5940 | 297 | 100 |
| 3 | სოფ. განთიადი | 600 | 276 | 13455 | 673 | 200 |
| 4 | სოფ. განთიადი | 173 | 1011 | 11173 | 558 | 200 |
| 5 | სოფ. განთიადი | 50 | 680 | 4080 | 204 | 100 |
| 6 | სოფ. ოროზმანი | 300 | 3000 | 45000 | 2250 | 500 |
| 7 | სოფ. ამამლო | 300 | 2500 | 37500 | 1875 | 500 |
| 8 | სოფ. გომარეთი | 400 | 1400 | 336000 | 16800 | 1000 |

6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა დანიშნულების ლითონის მილები, კერძოდ:

| № | ადგილმდებარეობა | დიამეტრი (მმ) | სიგრძე (მ) | საწყისი საპრივატიზაციო თანხა(ლარებში) | "ბე" | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სოფ. კრწანისი | 500 | 1000 | 56250 | 2812 | 500 |
| 2 | სოფ. მარტყოფი | 219 | 363 | 8167 | 408 | 100 |
| 3 | სოფ. მარტყოფი | 500 | 429 | 24131 | 1206 | 200 |
| 4 | სოფ. მარტყოფი | 400 | 330 | 14850 | 724 | 200 |
| 5 | სოფ. ნორიოში | 100 | 2000 | 15000 | 750 | 200 |
| 6 | სოფ. ლემშვენიერა | 150 | 2000 | 22500 | 1125 | 200 |
| 7 | სოფ. ჯანდარა | 100 | 2000 | 1500 | 75 | 200 |
| 8 | სოფ. გამარჯვება | 150 | 500 | 5625 | 282 | 100 |

**აუქციონი პირობები:**

1. ნიადაგიდან მილების ამოღების სამუშაოები მოხდეს მყიდველის ხარჯით.
2. მილების ამოღების შემდგომ ინფრასტრუქტურა და კომუნიკაცია მოყვანილ იქნეს პირვანდელ მდგომარეობაში.
3. აუქციონში გამარჯვებული პირის (ფიზიკური ან/და იურიდიული) მიერ მთლიანი
თანხის 30%-ის გადახდა მოხდეს აუქციონის ჩატარების დღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი №20) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე. აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) "ბე"-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
ს.ს. "საქართველოს სახალხო ბანკი" რუსთავის ფილიალი
ა/ა 33030006
საიდენტიფიკაციო კოდი 216433287 (მიუთითეთ გადასახადის დანიშნულება).
გ) მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
220101222
სახელმწიფო ხაზინა
200122900
ერთიანი ანგარიში
სხვა შემოსულობები (რუსთავი)
სახაზინო კოდი 300063282
(სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)
დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე "ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20
ტელ: (824) 12 12 66

სს «კახეთის ენერგოდისტრიბუციის" კუთვნილი ქონების რეალიზაციის მიზნით, გაკოტრების მმართველის მიერ გამოცხადებულ მესამე აუქციონში, რომელიც ჩატარდა ქ. თელავში, აჩინებულის ქ.1, 2008 ცლის 14 ნოემბერს გაიმარჯვა სს «ენერგო-პრო ჯორჯიამ", იურიდიული მისამართი ქ. თბილისი სანდრო ეულის ქ 1. შემოთავაზებული 6 100 000 ასს დოლარის ექვივალენტური თანხით, რაზედაც შედგა აუქციონის შედეგების ოქმი.


## პაციენტების საყურადღებოდ !

ცნობილი ექიმები, მედიცინის დოქტორი, ნევროლოგი **არჩილ საყვარელიძე** და თერაპევტი, გასტრო-ენტეროლოგი **დავით ნემსაძე** იღებენ პაციენტებს ყოველდღიურად დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში.
პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.
მიღების საათები: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.
მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20 (ვაკე, "სამების" ეკლესიის უკან) **ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;**

**ელ.-ფოსტა usdc@gol.ge**

## მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად
## საქართველო
## საკონსულტაციო მომსახურება

## კრედიტი No 3938-GE (დამატებითი დაფინანსება)

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი
(სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობა, დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება )

საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკის კრედიტი N3938-GEG შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტისათვის. აღნიშნული კრედიტის დამატებითი დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების დასაფინანსებლად, რომელიც შედის ზემოხსენებულ პროექტში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს საკონსულტაციო კომპანიებს ინტერესის გამოსახატავად ზემოაღნიშნული მომსახურების შესასრულებლად. ეს პროექტი მოიცავს საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზის 400 კმ. სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობას, ასევე დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას 100კმ-მდე გზაზე. დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია, რომ ისინი არიან საკმაოდ გამოცდილნი ზედამხედველობაში, ასევე დეტალურ პროექტირებაში და წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ თანამშრომელთა შრომითი ბიოგრაფიები (CV), რომლებიც სავარაუდოდ მონაწილეობას მიიღებენ აღნიშნულ მომსახურებაში გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება. ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. ნებისმიერი ინტერესის გამოხატვა, რომელიც იქნება 30 გვერდზე მეტი შესაძლებელია არ შეფასდეს. კომპანიის ბროშურები და სხვა ამდაგვარი მასალები შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს როგორც დანართი და გავლენას არ მოახდენს ინტერესის გამოხატვის 30 გვერდიან ლიმიტზე. კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ არის შეზღუდული: სამუშაოებს ანალოგიურ პროექტებზე, ძირითადი პერსონალის კვალიფიკაციას და გამოცდილებას, კორპორაციულ პროფილს.

საკონსულტაციო კომპანიის შერჩევა მოხდება „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტის შერჩევა და დაქირავება" 2004 წლის მაისის გამოცემაში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, კვალიფიკაციისა და ფასის მიხედვით შერჩევის მეთოდით.

წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 17:00 სთ, 2008 წლის 10 დეკემბერი. დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 17:00-მდე ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს
საავტომობილო გზების დეპარტამენტი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო, IV სართული, ოთახი 402
ბ-ნი შაქრო ხალვაში, შესყიდვების სამმართველოს უფროსი
ალ ყაზბეგის გამზირი N12
თბილისი, საქართველო 0160
ტელ: +995-32 37 05 08/2-15
ფაქსი: +995-32 31 30 34
ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge, ასლი: roaddepirakli@yahoo.com
ვებ-გვარდი: www.georoad.ge

## REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST
## GEORGIA
## CONSULTING SERVICES
## Credit No.: 3938-GE

## Secondary and Local Road Project

Georgia has intended to apply for a credit No: 3938-GE from the World Bank towards the costs of the Secondary and Local Roads Additional Financing Project and intend to apply part of the proceeds to payment for goods, works and related services and consulting services to be produced under this project.

